სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 26 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 230 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 230

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიათურის დრამატიული გამგეობა და სცენის მოყვარეთა წრე აუწყებს საზოგადოებას, რომ დაუვიწყარი წევრისა და თანამშრომლის

**ვერა ვარაზაშვილის**

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ქიათურის თეატრის დარბაზში კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

---

პარლამენტის წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძენი, მეუღლენი მათნი ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ნინა კონსტანტინეს ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, ამხანაგთ და მეგობართ, რომ მათი მარად დაუვიწყარი დის

**ვერა ვარაზაშვილის**

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 27 ოქტომბერს, ანჩისხატის ტაძარში. წირვას დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი დღის 12 საათზე. (3—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი: ნინო ექვთიმეს ასული მამულაიშვილისა და თამარა მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 27 ოქტომბერს დილით, კვირას 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასი ქმრისა და მეორესი საყვარელი მამის

**არსენ ანტონის ძე მამულაიშვილის**

ორმოცის აღსანიშნავად (2—1)

---

26 მარიამობისთვეს ღამის 1 საათზე ქ. ხარკოვში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ხარკოვის სამხატვრო სასწავლებლის ახალ კურს დამთავრებული

**დომენტი მელიტონის ძე ართილაყვა**

რასაც გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა მისი მელინკი კვაჭაძისა, ძმა ერასტი ართილაყვა, გამზრდელი ბიძა ალექსანდრე, ბიცოლა აბელისა მითაიშვილები.

---

დიდი-ჯიხაიშის მომხმარებელი საზოგადოების „წინის“ გამგეობა და ქვენონ-აფთიაქის კომიტეტი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას და ამხანაგებს, რომ 22 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა კოოპერატივის გამგეობის და ქვენონ აფთიაქის წევრი მასწავლებელი

**ნიკოლოზ ივანეს ძე შუბლაძე**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია შაბათს, 26 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

---

დიდი ჯიხაიშის ყველა სასწავლებელთა პედაგოგიური საბჭო და სასკოლო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 22 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა პედაგოგიური საბჭოს და სასკოლო კომიტეტის წევრი მასწავლებელი

**ნიკოლოზ ივანეს ძე შუბლაძე**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია შაბათს, 26 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზედ.

---

დიდი-ჯიხაიშის ს. დ. მუშათა პარტიის კოლექტივი, პარტიული ამხანაგები და აღმასრულებელი კომიტეტი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 22 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა გამოცდილი ენერგიული ამხანაგი კოლექტივის და კომიტეტის ხაზინადარი მასწავლებელი

**ნიკოლოზ ივანეს ძე შუბლაძე**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია შაბათს, 26 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები კოლა და მართა, ძმები პეტრე და სოკრატი, დები ელენე და ანნა და რძალი მარო აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ კვირას 27 ოქტომბერს (ახალი სტილით) იქნება გადახდილი სამოქალაქო წესით ორმოცი დღის პანაშვიდი უდროოდ დაკარგული მებრძოლის

**პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორზინის**

რომელიც იბრძოდა სოხუმის ფრონტზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება საფლავზე 12 საათზე, ძმათა სასაფლაოზე, ნაძალადევში. (2—1)

---

ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ კვირას, 27 ოქტომბერს 12 საათზე ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება „ორმოცი“ სამოქალაქო წესით უდროოდ დაკარგულ ახალგაზრდა მებრძოლის თავისუფლებისათვის

**პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორზინის**

რომელიც სოხუმის ფრონტზე დაიღუპა.

---

ოლღა ალექსანდრეს ასული და ალექსანდრე ყარამანის ძე დადიანები შვილებით თავზარ დაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 15-ს აგვისტოს (ძვ. სტ.) ქალაქ მოსკოვში გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ძმა და მეორის საყვარელი ცოლის ძმა

**ვლადიმერ (პიწუ) ალექსანდრეს ძე მიქაძე**

ჩამოსვენების და დაკრძალვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

სოფიო (ციტუ) ალექსანდრეს ასული და ბესარიონ მიხეილის ძე ჩიჩუები შვილებით თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ აგვისტოს 15 ს (ძვ. სტ.) ქალაქ მოსკოვში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი ძმა და მეორესი დაუვიწყარი ცოლის ძმა

**ვლადიმერ (პიწუ) ალექსანდრეს ძე მიქაძე**

ჩამოსვენების და დაკრძალვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

გულ დათუთქული დედა ციცუ კონსტანტინეს ასული, ძმები ლევან (ქიშუ) და აკაკი ალექსანდრეს ძენი, დები: ფუში, მანა და დაფია ალექსანდრეს ასულნი მიქელაძეები და რძალი ლიუდმილა მიხეილის ასული მიქაძისა თავზარ დაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ აგვისტოს 15 ს (ძველი სტილ.) ქალაქ მოსკოვში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი

**ვლადიმერ (პიწუ) ალექსანდრეს ძე მიქაძე**

ჩამოსვენების და დაკრძალვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

სომხის რევ. პარტია დაშნაკცუტიუნი აღმოსავლეთის ბიურო, ცენტრალური კომიტეტი საქართველოში, თფილისის კომიტეტი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ფრაქცია; ფრაქციები: პარლამენტისა და სომხურ ნაციონალურ საბჭოსი საქართველოში, ქალაქის საბჭოსი და სტუდენტების ორგანიზაციისა აუწყებიან, რომ დაკრძალვა ამხანაგ

**ავეტიკ შახატუნიანისა**

მოხდება კვირას, 27 ოქტომბერს. ცხედარს გამოასვენებენ ვანქისს აკრებულოდან დღის 12 საათზე, დაკრძალვენ ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—1)

---

ამაღლების სოციალ-დემოკრატიული კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას კოლექტივის წევრის

**ლუკა ჭყონი სი**

დაკრძალვა 26 ოქტომბერს, შუა ამაღლებაში.

---

ამაღლების სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ამხანაგ

**ლუკა ჭყონიას**

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა 26 ოქტომბერს შუა ამაღლებაში.

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თეოლინე ჭყონიასი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი ქმრის

**ლუკა ჭყონიას**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 26 ოქტომბერს შუა ამაღლებაში.

---

## ისევ საგარეო საქმეებზე

ევროპა ზავისთვის ემზადება, ჩვენი პატარა ამიერ-კავკასია კი საომარ იარაღს აჩხარუნებს. დიდმა უზარმაზარმა სახელმწიფოებმა შეიგნეს საშინელება იარაღით საკითხის გადაჭრისა, ვილსონის წინადადება—საყოველთაო ზავის და საყოველთაოთ იარაღის აყრის—სახელმწიფოთა უმრავლესი ნაწილისაგან უკვე ცნობილია; გერმანია-ავსტრიის შემდეგ მას მძლავრად ეხმაურება საფრანგეთ-ინგლისის დემოკრატია.

ხალხის გულში მოიძებნა სიტყვა, რომელიც ფრონტის გადაუვალ სისხლიან ზღუდეებს არღვევს და ყველას არსებას ერთნაირად სწვდება სულის სიღრმემდე: ესაა ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა სოლიდარობის ნიადაგზე.

და ამ დიდი ლოზუნგის გარშემო თავს იყრიან ინტერნაციონალის წევრები, რომელნიც ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად დაშორდენ ერთმანეთს.

ინტერნაციონალი კვლავ იღვიძებს და ახალის ძალით გამოდის ცხოვრების სარბიელზე თავის დიადი მიზნების განსახორციელებლად.

და აი, ასეთი, ხანის წინაშე ამიერ-კავკასიის ერები უნდა პირველი დამდგარიყვნენ ერთა სოლიდარობის ნიადაგზე, მათ პირველი მაგალითი უნდა მიეცათ ყველასათვის. ამიერ-კავკასია ზავის მაგიერ ომისთვის იქოჩრება. საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები ამიერ-კავკასიის ერთა შორის ყოველგვარ სადაო საკითხების მოსაწესრიგებლათ. 22 ამ თვის დადგენილებით მას სურს მოიწვიოს კონფერენცია ადგილობრივ რესპუბლიკების და მათთან მოლაპარაკებით მოუღოს ბოლო სადაო საკითხებს. ჯერ არ ვიცით, რა შედეგებს მოიტანს ეს გადაწყვეტილება, როგორ შეეგებებიან ამ დემოკრატიულ და მშვიდობიანობის მოყვარულ განზრახვას ჩვენი მეზობლები.

მაგრამ ერთი კი ახლავე უნდა აღვნიშნოთ: ის, რასაც დაშნაკცუტუნის მეთაურობით სჩადის სომხეთის რესპუბლიკა—პირდაპირ და აშკარა დარღვევაა ყოველგვარ მეზობლური ურთიერთობისა.

გადმოლახვა საზღვრების, მოლაპარაკება საზღვრების შესახებ გარეშე სახელმწიფოსთან, ოსმალებთან, რომელსაც ხელი არა აქვს კავკასიის ერთა ურთიერთობის საკითხში, და მათი დასტურით ამა თუ იმ ადგილების დაჭერა, ეს ნიშნავს პოლიტიკურ ორპირობას—პოლიტიკურ მოღალატეობას, სხვა სახელი ჩვენ ასეთ საქციელისთვის ვერ მოგვიძებნია. ოსმალეთი გახდა გადამწყვეტ ძალათ კავკასიის ერთა შინაურ საკითხში—ამაზე შორს ვერ წავა პოლიტიკური სიბეცე და მეზობლისადმი სიძულვილის გრძნობა.

დემოკრატიზმის ნაცვლად გულში იუდა უნდა გეჯდეს, რომ ასეთ ნაბიჯს კვერი დაუკრა.

ადერბეიჯანი, რომელიც ენათესავება ოსმალეთს სარწმუნოებით, გვარტომობითაც, ისიც კი ცდილობს ასეთ ჩარევისაგან თავი დააღწიოს დღემდე მაინც საზღვრების საკითხში და მეზობლებთან ურთიერთობა გარეშე ძალისთვის არ მიუნდვია. ამას სჩადიან სომხეთის ხელმძღვანელები: ისინი თავის გუშინდელ სულისშემხუთველებს და ამწიოკებლებს, ულოლიავებენ დღეს დემოკრატიულ საქართველოს წინააღმდეგ.

ალბათ გონიერებამ დაკარგა მათში ყოველი ნიადაგი.

ლტოლვილნი რომ გამორბოდენ—დაავიწყდათ ვისგან გამორბოდენ და თავს სად აფარებდენ?

ლტოლვილნი რომ გაჭირვებას განიცდიან—ნუ თუ დაავიწყდათ, სადაა სათავე მათი გაჭირვების და უბედურობის?

და, აი, ეს ხალხი, გუშინ დევნილი და საქართველოს თავს შეფარებული, დღეს ამ საქართველოს წინააღმდეგ მიდის—იმავე ოსმალეთის აგენტებით ატრუებული.

დიახ, ამიერ-კავკასია ბალკანეთს დაემსგავსა, აჭრელებული ქვეყანა ცეცხლის შესაძლებლობით გაიელვინთა, და თუ სომხეთის მთავრობა ამ გავარვარებულ ატმოსფერაში სპიჩკის როლს აასრულებენ, მთელი პასუხისმგებლობა დაღვრილი სისხლისა მათ დააწვებათ კისერზე.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, საქართველოს დემოკრატიას არ სურს ომი, არ სურს ძმათა სისხლის ღვრა, ამიტომ ჩვენი გულწრფელი წინადადებაა სომხის დემოკრატიისადმი—დაგმონ თავზე ხელ აღებული ხელმძღვანელები დაშნაკელების მთავრობის, ალაგმონ ეს დაუსრულებელი პროვოკაციები, რომელთა მიზანია ძმათა ელეტის გამომწვევი და ერთავნული მტრობის გაძლიერება.

ჩვენ მივმართეთ სომხის დემოკრატიას, რომელიც საქართველოს საზღვრებში ცხოვრობს, თავის მკაცრი და სამართლიანი მსჯავრი დასდოს სომხის მეთაურთა უგვანო საქციელს.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა—ვერ გადაუხვევს საქართველოს დემოკრატიის ნება-სურვილს.

სასურველია და აუცილებელი სომხეთის მთავრობაც სომხის დემოკრატიამ ჩაიჭიროს ხელში და ავანტიურისაგან იხსნას სომხის ხალხი.

საერთაშორისო ჰორიზონტი იწმინდება ომის ღრუბლისაგან. ამ დროს აქ ომის გაჩაღება—ეს უდიდესი და მიუტევებელი შეცდომა იქნება დემოკრატიის და საერთაშორისო სოლიდარობის წმინდა იდეის წინაშე. სიტყვა ეკუთვნის სომხის დემოკრატიას.

## ეროვნული საბჭოები

შარშან, ნოემბერში, საქართველოს ეროვნული საბჭო იქნა მოწყობილი და ამ საბჭოს მსგავსათ და მის გვერდით მრავალი სხვა ეროვნული საბჭოები დაარსდა.

უფლებრივ სახელმწიფოს არ შეუძლია რამე საწინააღმდეგო ჰქონდეს ორგანიზაციების, მით უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამიტომ ჩვენში არავითარ წინააღმდეგობას და გაკვირვებას არ იწვევდა ფაქტი სხვა და სხვა ეროვნულ ორგანიზაციათა არსებობისა.

მაგრამ ეს არის საკითხის მხოლოდ ერთი მხარე. მეორე კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს ერთგვარი ორგანიული კანონი ნორმათა ერთგვარი მინიმუმი, რომელიც სავალდებულოა ყველა იმათთვის, ვინც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება.

ამიტომ იყო, რომ, როცა ჩვენ შარშარშან ნოემბერში საქართველოს ეროვნული საბჭო შევქმენით, მისთვის არავითარი პოლიტიკური ფუნქცია არ მიგვიცია, არავითარი საგარეო საკითხის გადაჭრა არ მიგვინდვია. ჩვენი ეროვნული საბჭო სავსებით ლეგალური ორგანიზაცია იყო, ის სრულს ლოიალობას იჩენდა რუსეთის სახელმწიფოებრივობისადმი, თუმცა მას ასე თუ ისე გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა, რომ თავის ქვეყნის ფარგლებში ერთნაირი ბატონ-პატრონიც ყოფილიყო.

მაგრამ ასე არ იქცევიან ის ეროვნული საბჭოები, რომლებიც დღეს ჩვენში არსებობენ და მოქმედებენ. ისინი თავის ერის კულტურულ განმანათლებელ ინტერესების სამსახურით როდი კმაყოფილდებიან. მათ გადაუწყვეტიათ როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში თავის ერონების წარმომადგენლობა იკისრონ. ისინი ნებსით თუ უნებლიეთ ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არავის, გარდა თვით ადგილობრივ მთავრობისა, ნება არა აქვს დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სფეროში; ისინი ივიწყებენ, რომ სახელმწიფო არის ორგანიზაცია სუვერენული უზენაესობით აღჭურვილი და ამიტომ წარმოუდგენელია მის გვერდით კიდევ არსებობდეს სხვა რომელიმე სუვერენული ორგანიზაცია. ეს იქნებოდა სახელმწიფო სახელმწიფოში.

და სწორეთ ასეთი სახელმწიფოები შექმნეს ჩვენს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნულმა საბჭოებმა. კონკრეტიულად ეს შემდეგში გამოიხატა: სომხებმა, მაგალითად, არ იკმარეს ის, რომ თფილისში საკუთარი იარაღის საწყობი ჰქონდათ, კაცის დატუსაღებაც კი გაბედეს, როცა ჩვენი მილიცია მივიდა მათი სადგომის გასაჩხრეკათ, ტყვიისმფრქვევლები დაუშინეს. ოსების ეროვნულმა საბჭომ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაიჭირა დამოკიდებულება და ამას ის არც მალავდა.

რუსები კიდევ უფრო გაბედულად და უცერემონიოთ იქცევიან: მათ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში მოუწყვიათ ამიერ-კავკასიის რუს მცხოვრებთა ეროვნული საბჭო და ამ საბჭოს სახელით დეპუტატებიც კი აირჩიეს საქართველოს პარლამენტში! ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ისინი ალექსეევის ლაშქრისთვისაც ადგენდენ რაზმებს როგორც საზოგადოებაში დაბეჯითებით ამბობენ. ალბათ ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, რომ სოფელი ნახეს უძღლო და ამიტომ უჯახოთ ფიქრობენ ჩვენი უფლებების და ინტერესების ფეხქვეშ გათელვას.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ დემოკრატიულ წყობილების მტრებს მივსცეთ მოქმედების თავისუფლება.

მთავრობამ და დემოკრატიამ მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ და ყველა ის ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ითვისებენ, უნდა დაუყონებლივ ალაგმულ იქნენ.

ამას მოითხოვს დემოკრატიულ რესპუბლიკის საარსებო ინტერესები.

## პრესა

„ზნამია ნაროდა“ თავის მერანს მოაჯდა: საქართველოს დემოკრატიას და მის ხელმძღვანელებს ეომება, მათ წინააღმდეგ ეძებს საბუთებს:

რომელი პრინციპიც გინდა ის გაახსენდება ამ გაზეთს, როცა საქართველოს წინააღმდეგ სურს წერილის დაწერა. მესხეთს და ჯავახეთს სცლიან ოსმალები. არავის დღემდე ეჭვი არ ჰქონდა, რომ ეს მაზრები საქართველოს საზღვრებში შედის. არ ჰქონდეთ ამისეჭვი თვით ოსმალებსაც, რომელთაც ამ კუთხეების შესახებ ულტიმატუმი საქართველოს წამოუყენეს. ეხლა, როცა ოსმალეთი იძულებულია ეს მაზრები დასტოვოს, იგი სომხებს მოუწოდებს თვით დაეპატრონონ ამ მაზრებს. დაშნაკელებიც, რომელნიც საპროვოკაციო საქმეზე სულ აღებული არიან, ხელათ შეუდგენ საქმეს. გაზეთი „ზნამია ნაროდა“ გაიძახის ამის გამო:

> „მიეცით თავისუფლება ხალხს და თქვენ გაიგონებთ მის გულის აძახილს, მიმართულს ერთი ინტერნაციონალური ფრონტის აღდგენისაკენ, ყველა ძალების შეერთებისაკენ, ძმურ შემოქმედებით მუშაობის საწარმოებლათ, რაც მოგვიტანს მშრომელ ხალხის ბედნიერებას და კეთილდღეობას“.

ჩვენ ვიცით, როგორ სისინებდა ეს გაზეთი, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაშიაც თავის ნება-სურვილი გამოხატა. მაშინ რუსეთის ბალშევიკების ხიშტებითაც კი გვემუქრებოდენ. დღესაც ამ „ზნამია ნაროდა“-ს ხელმძღვანელები აქ, ჩვენში ბალშევიზმის გამხრწნელ პოლიტიკას უჭერენ მხარს და საქართველოს დანგრევის საქმეს ემსახურებიან.

ახლა რეფერენდუმი შეიქნა მათი სანუკვარი საგანი. მაგრამ რეფერენდუმს მოითხოვს ეს სომეხთა მსახური გაზეთი ჩვენგან, და არა სომხეთისაგან. სომხეთის ჯარს შეუძლია ოსმალეთს ამოეფაროს უკან და საქართველოს საზღვრებ შიგნით შემოიჭრას. ხოლო საქართველოს არ აქვს უფლება თავის ინტერესების დაცვაზე იზრუნოს. მაგრამ ჩვენ ხომ დიდი ხანია შევეჩვიეთ ერთ აზრს: როცა „ზნამია ნაროდა“ დემოკრატიზმს ეფარება, იგი დაშნაკელებს და რუსეთის იმპერიალისტების სამსახურზე ფიქრობს. თორემ რეფერენდუმი განა შეიძლება ჯარის იქ დგომის დროს იქნეს წარმოებული? ან შეიძლება რეფერენდუმი იქ, სადაც დაშნაკელების ტერორია გამეფებული?“

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

25 ოქტომბერი.

**დასავლეთის ფრონტი.**

ბერლინი. 24 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ლისის დაბლობში ბრძოლა გრძელდება. დეინზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დეინზე-ვარეგემის რკინის გზასთან, 52 დივიზიამ გენერალ-ლეიტენანტ ვალდორფის ხელმძღვანელობით მოიგერია მტრის განახლებული იერიშები. ფიხტის ორივე მხარეზე ჩვენ დავიხიეთ და მოვიგერიეთ მტერი, რომელსაც კატესტრაატის ოლქში ჩვენზე იერიში მოჰქონდა. მტრის ჯარში მონაწილეობას იღებდენ ბელგიელნი. ტურნესა და ვალანსიენს ინგლისელები უშენენ. ტურნესა და შელდის დაბლობებში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. სოლემსა და ლეკატოს ორივე მხარეზე 30 კილომ ფრონტზე ინგლისელები ახალი ძალებით იერიშებს აწარმოებენ.

ამით ინგლისელები ფიქრობენ დიდი მიზნების მიღწევას. პირველი იერიში, რომელიც დილით, ადრე მოიტანეს სარპთან, მათთვის სასარგებლო არ იყო. განახლებულ იერიშების შემდეგ მტერი შემოიჭრა რომერის ორივე მხარეში, სენ მერტენის, სალეშის ოლქებში და ბოტანის ნაწილში. ფრონტის შუაგულში შევაჩერეთ მტერი, რომელიც რომერის ორივე მხარეზე ლე კატო-ბავეს გზატკეცილზე და პუა-ბუზის ხაზზე იერიშით მოდიოდა. ბუზის სამხრეთით შევაჩერეთ მტრის წინსვლა. პომერეილის და კატიონის შუა შლეზვიგ-ჰოლშტინის, მეკლენბურგის და ვიურტემბურგის პოლკებმა, მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა, შეინარჩუნეს თავის პოზიციები. განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა 122 ქვეითა პოლკმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ალბერტი. კოტილიონის სამხრეთით მტრის წინსვლა შევაჩერეთ. ჟაზასა და სერის შუა დროგამოშვებით არტილერია მოქმედებდა, რომლის შემდეგ მტერმა სერის ჩრდილოეთით შემოტევა დაიწყო. კონტრ-იერიშით მტერი მოვიგერიეთ. მჭიდრო დასახლებულ მონტორნეს ფრანგები არტილერიიდან უშენენ. მდ. ენის აღმოსავლეთით არტილერიის დახმარებით მტერს იერიშები მოჰქონდა. ბავარიელებმა და ვიუტენბურგელებმა ვუზიერის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მაღლობები შეინარჩუნეს. ვუზიერის აღმოსავლეთით განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა პირველმა ქვეითმა დივიზიამ გრაფ ვულენ-ბერგის წინამძღოლობით. ოლიზისა და განჯრეს შუა მტრის იერიშები მოიგერიეს ელზას ლოტარინგის, ტიურინგის და ესენის პოლკებმა. ბრძოლაში ისევ გამოიჩინა თავი მე 17 პოლკმა, რომელსაც წინამძღოლობს მაიორ შტობი. ამერიკელებმა მდ. მაასის ორივე მხარეზე შემოტევა გააფართოვეს. ბანტოვილის ტყიდან ჯავშნიანი ავტომობილების დახმარებით ამერიკელები შემოიჭრენ კიუნელის ჩრდილოეთით. მტერი დიდი ზარალით უკუვაქციეთ. მაასის აღმოსავლეთით, კონსენვუა დამვილერის ორივე მხარეზე ძლიერი ბრძოლა საღამომდის გაგრძელდა. ბრანდენბურგისა და საქსონიის ბატალიონებმა რამდენიმეჯერ მოიგერიეს ამერიკელების იერიშები.

**სამხრეთ აღმოსავლეთის ფრონტი.**

ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უზრუნველჰყო პარმასის ორივე მხარე მტრის დაჭერისაგან.

**რუმინიაში**

**ბერლინი.** 22 ოქტ. ადესიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მთავრობამ რუმინიის ყველა ნავთ-სადგურები შავ ზღვაზე და მდ. დუნაიზე დახურა.

**გემის დაღუპვა**

**ლონდონი.** 22 ოქტ. ირლანდიის გემი „დუნდალკ" ორშაბათს ღამეს ირლანდიის ზღვაში ნაღმისგან დაიღუპა. 30 კაცში 13 გადაარჩინეს. დანარჩენების შესახებ ცნობა არაა.

**ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე**

**მოსკოვი.** 22 ოქტ. ხმები, თითქოს ყოფილი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაეხვრიტოთ, ტყულია. ის კარგათ არის და კიევში იმყოფება.

**ინგლისელთა ცნობა ზავის შესახებ.**

**კოპენჰაგენი.** 22 ოქტ. ინგლისის ოფიციალურ წრეებში შემდეგი აზრი გამოითქვა: ის ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ გერმანიის სამშვიდობო წინადადების შესახებ გამოააშკარავებს მათ ნამდვილ სახეს. უკვე ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიის წინადადება მხოლოდ ერთგვარი სამხედრო ხერხია, რომელიც გამოიწვია გერმანიის ჯარის კრიტიკულმა მდგომარეობამ და მოკავშირეთა მოსალოდნელმა ჩამოშორებამ. როგორც საზავო, ისე სამხედრო საქმეს აწარმოებენ ერთი და იგივე ავტორიტეტები და ამიტომაც ერთგვარი აზრი და მიზანი აქვს. თუ დამარცხება ბრძოლით ვერ აიცილეს, ის უნდათ აიცილონ კონფერენციათა და კომპრომისების საშუალებით. გადადგეს თუ არა ასეთი ნაბიჯი, მათი პოზიცია ყველასათვის ნათელი შეიქნა. თუ გერმანიის სამხედრო ძალა იძულებულია ბრძოლის ახალ საშუალებას მიმართოს, ამ შემთხვევაში მას უნდა გაეცეს სამხედრო და არა პოლიტიკური პასუხი. ჩვენდა საბედნიეროდ მოკავშირეთ გვაქვს ახლა საშუალება გავსცეთ ასეთი სამხედრო პასუხი. გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელთ (რა სამოსელშიაც არ უნდა გვეჩვენონ ისინი) თავისი გავლენა მაინც რჩებათ. ვილსონმა უკვე გადაჭრით უარჰყო მათთან მოლაპარაკება და შეთანხმება გერმანიის და შეერთებულ შტატების ნოტის გაცვლა-გამოცვლამ თუ სასურველი შედეგი არა, დიდი სარგებლობა მაინც მოიტანა. მან გამოააშკარავა ამ პარტიის ნამდვილი სახე და ცხადჰყო რომ ზავის გულწრფელ წინადადებისათვის აუცილებელია ამ პარტიის დამხობა, რაიცა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გერმანიის სამხედრო ძლიერების დამარცხების შემდეგ.

**თურქესტანის ფრონტი.**

**პეტროვსკში** (გადაცემულია ენზელის რადიო სადგურიდან. 22 ოქტ. კავკაზ კასპიის კავშირის მთავარ სარდალს ბ. ბიჩერახოვს. ჩვენმა ჯარმა ტილვენი აიღო და მტერს დაახვიანა მერვისკენ. გვჭირია ტყვიები და ზარბაზნები. კუნი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** ყველას, 24 ოქტ. ც. აღ. კომ.

**ცარიცინი.** 24 ოქტ. ქალაქს საშიშროება ასცილდა. მოწინააღმდეგეს, რომელიც ქალაქიდან 12 ვერსზე იდგა, 40 ვერსით უკან დაახევინეს. ვოლგაზე მოძრაობა განახლდა. ფრონტის სიახლოვე ხელს უშლის ქალაქში სურსათის შეტანას. მცხოვრებლებს პურის მეოთხედი გირვანქა ეძლევათ.

**ვოლსკი.** 24 ოქტ. გვატყობინებენ, რომ არხანგელის გუბ. ცუდი მოსავლის გამო მცხოვრებთ დამშევა მოელის ინგლისელები და თეთრ გვარდიელები რომ დაამშვიდონ დამშევით აღელვებული ხალხი მოუწოდებენ მათ ჯარში ჩაეწერონ. პური მხოლოდ ერთი თვის საჭყოფია.

**პეტროგრადი** 24 ოქტ. გუშინ სმოლნიში დააპატიმრეს ცნობილი პროვოკატორი მალინოვსკი. ქალაქის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს ტრამვაის გზის 17 შტო სურსათის გადმოსატანათ.

**ჰააგა.** 22 ოქტ. ნიდერლანდის საგარეო მინისტრმა გამოაქვეყნა ამერიკის პასუხი ჰოლანდიის პროტესტზე, ჰოლანდიელთა ამერიკის ჯარში გაწვევის გამო. ამერიკის მთავრობამ აცნობა ფრონტს, დააბრუნოს ის ჰოლანდიელნი, რომელთაც ბრძოლა არ სურთ, მაგრამ მათ დაბრუნებას ელობება ისეთი მძიმე პირობები, რომ ისინი ფრონტზე რჩებიან.

**ჟენევა.** 21 ოქტ. საფრანგეთის სოციალისტებმა მოსთხოვეს კლემანსოს ზავის პირობების განმარტება. ამავე დროს ბენ მოწოდებას საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებაზე. საფრანგეთის ბურჟუაზია მოითხოვს გერმანიის სრულ განადგურებას. ინგლისის შეთანხმების სოციალისტები მოითხოვენ იმ პროფესიონალურ კავშირების დახურვას, რომელნიც ბოლშევიზმს იზიარებენ. ც. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა 20 ოქტ. ციხიდან განთავისუფლებულ კარლ ლიბკნეხტს გაუგზავნა სალამის დეპეშა.

**პეტროგრადი** 23 ოქტ. ბულგარეთის კომუნისტური ორგანიზაციამ პეტროგრადიდან მოწოდებით მიმართა ბულგარეთის პროლეტარიატს: დაე თქვენთვის მაგალითი იყოს რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგო.

# საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი 25 ოქტომბერს ესაუბრა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარეს პროფესორ ცუგმაიერს. უკანასკნელად ბ-მა ცუგმაიერმა შემდეგი გადმოგვცა:

**საქართველოდან გერმანიის ჯარის გაყვანა.**

საქართველოში გერმანიის დელეგაციას უმაღლეს მთავრობიდან მოუვიდა ბრძანება, რომ იმ ჯარის ნახევარი, რომელიც ეხლა საქართველოში იმყოფება, გაყვანილ იქნას. თუ რა არის მთავარი მიზეზები, გამოურკვეველია. შეიძლება ესსაჭირო იქნეს, როგორც პოლიტიკური ნაბიჯი საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. ეს ჩემი პირადი აზრია.

**ო ს მ ა ლ ე თ ი.**

ოსმალეთი საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს. ამ მოლაპარაკების შედეგები ჯერ არ ვიცით როგორია. რაც შეეხება ოსმალეთის სამხედრო ცნობებს, ეს უკანასკნელნი კი ყოველ დღე მოდის. ადგილობრივ და კონსტანტინოპოლში მყოფ გერმანიის რადიო სადგურს შუა კავშირი არსებობს. ასე რომ, წუხელაც (24 ოქტომბერს) მოვიდა იქიდან ცნობები.

**ბ უ ლ გ ა რ ე თ შ ი.**

უკანასკნელი ცნობებით ჩვენ ვიცით, რომ ვარნა ინგლისელების ხელშია. რაც შეეხება იმას, ვითომ შავ ზღვას ბულგარეთის სანაპიროებიდან რაიმე საფრთხე მოელოდეს, ამაზე ფიქრი ნაადრევია.

**მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე**

დასავლეთის ფრონტზე, რადგანაც ბრძოლის ხაზი მეტად შემოკლდა, გერმანიის ჯარების მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა. ინგლისის რადიო დეპეშა იტყობინება სიტყვა სიტყვით შემდეგს: „თუმცა გერმანელების უკან დახევა შეჩერდა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა". აქედან აშკარად სჩანს, რომ გერმანელთა დახევა დამთავრებულა.

**ბოლშევიკების ცნობების შესახებ.**

გაზეთებში ხშირადაა ბოლშევიკების ცნობები მოთავსებული ამა თუ იმ მოვლენის ამბების შესახებ, ეს ცნობები ნაკლებათ დასაჯერია. მაგალითად, ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები, თითქოს გერმანიის ჯარი გადიოდეს დონიდან, უკრაინიდან და ფინლიანდიიდან და აგრეთვე თითქოს ამ უკანასკნელში რევოლიუცია დაწყებულიყოს, სიმართლეს არ შეიცავს.

**მდგომარეობა ავსტრიაში.**

აგრეთვე არის ცნობები ადგილობრივ ზოგიერთ გაზეთებში, ეგენიც ც. აღმასრულებელ კ. ბიულეტენის წყაროდან, თითქოს ფედერატიული რესპუბლიკა გამოცხადებულიყოს, ესეც არაა მართალი. ეს კია, რომ ავსტრიაში ხდება კონსტიტუციის ცვლილებანი. მაგ. არის ტენდენცია, რომ ცალკე ეროვნებებს მეტი დამოკიდებულობა, მეტი თვითმართველობა მიეცესო.

**ქართველ სომეხთა კონფლიქტი**

ქართველ-სომეხთა კონფლიქტი ალბად ამ დღეებში დამთავრდება. საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების თანახმად გერმანელები იცავენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს. ხსენებულ კონფლიქტის დროს საქართველოს მხრით არავითარი მიმართვა არ ყოფილა გერმანელებისადმი. ასე რომ, ამ შემთხვევაში გერმანელებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაძლებლობის ფარგლებში სცდილობდენ მონაწილეობა არც მიეღოთ. ყოველ კონკრეტ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ უნდა შეატყობინოს ხოლმე გერმანელებს და ეს უკანასკნელნიც მოვალენი იქნებიან შეასრულონ დადებული ხელშეკრულების მუხლები.

# ახალი ამბები

**კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება.**

— **საალყო წესები ბორჩალოს მაზრაში.** ბორჩალოს მაზრის სომეხთა ნაწილებისაგან გადმოლახვის გამო, საქართველოს მთავრობამ დაადგინა ბორჩალოს მაზრაში საალყო წესები გამოცხადდეს. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში გენერალ გუბერნატორად დაინიშნა გენერალი მაიორი წულუკიძე.

— **ახალი მაზრა.** ბერძენთა ნაციონალურმა საბჭომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა წალკის და გომარეთის ბორჩალოს მაზრიდან გამოყოფის და ამ რაიონების მანგლისის მაზრაზე (რომელიც უნდა დაარსდეს) ანუ ტფილისის მაზრაზე მიწერის შესახებ. შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ ამ რაიონის 50,000 მცხოვრები (27 ბერძენთა, 12 სომეხთა 5 თათართა, 4 ქართველების და 2 ნემცების სოფლები) უფრო ეძხრობიან ტფ. მაზრას, ვიდრე ბორჩალოსას.

— **მეცხვარეთა რწმუნებული.** ოქტომბრის 25-ს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს საბახტარაშვილს ესაუბრა ტფილისის გუბერნიის მეცხვარეთა რწმუნებული ვასო ილიას ძე ათანელიშვილი მეცხვარეების მდგომარეობის შესახებ. რწმუნებულმა განუცხადა, რომ მთებში შეხლა-შემოხლას, სამწუხარო ექსცესებს ალაგი არ ჰქონია მოსახლე ხალხთან, მხოლოდ ჩვენს მიწა წყალზე ზოგიერთი მილიციის უფროსები და მილიციონერები მეცხვარეებს იარაღს ართმევენ, რაიც ეწინააღმდეგება მინისტრ რამიშვილის განკარგულებას. მინისტრის ამხანაგმა საბახტარაშვილმა შესაფერი ზომების მიღება აღუთქვა.

— **სახეითლო გამგეობამ** განკარგულება მოახდინა, რომ პირველ ნოემბრიდან მდგომარე წლისა, ყველა სახეითლო დაწესებულებებმა შემოიღონ საქმის წარმოება ქართულ ენაზე. საქართველოს რესპუბლიკის სახეითლო გამგეობამ გადაწყვიტა რიგით გაგზავნოს საქართველოს რესპუბლიკიდან თვენახევრის ვადით ორ-ორი ბეითალი ქუთაისის საქონლის შრატის დასამზადებელ სადგურზე შრატის დამზადების და აცრის ტექნიკასთან გასაცნობათ.

— **გენერალ მაზნიაშვილის** ბინის გაჩხრეკის დროს, რომელიც მოხდა მისივე თხოვნით, არავითარი ისეთი საგანი არ აღმოჩნდა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მის ბინაზე აღმოჩენილი ყოველი სანოვაგე, თუ სხვა ნივთები, შეადგენდენ მის საკუთრებას და იმდენს, რაც საჭიროა ოჯახურ საჭიროებისათვის და შეძენილი იყო კანონიერის გზით, რის გამო ყველა ნივთები დაბრუნებულ იქნა კუთვნილებისამებრ.

— **დახმარება სახხერელებს.** მთავრობამ პარლამენტის პრეზიდიუმში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება, რომ სახხერის ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა სასარგებლოთ სახელმწიფო ხაზინის თანხიდან გადაეცეს შორაპნის სამაზრო საეროზო გამგეობას ერთდროული დახმარება 100,000 მანეთი.

— **ქართულ გერმანული კონცერტი.** კვირას, 27 ოქტომბერს, დღის 12 საათზე სახელმწიფო თეატრში კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით გაიმართება ქართულ გერმანულ სამხედრო მუსიკის სანიმუშო კონცერტი. კონცერტის პროგრამაში შედის ქართული ეროვნული ჰიმნი. დასასრულ დაიდგმება აპოთეოზი: ცხოველი სურათის სახით აღიმართება თავისუფალი საქართველოს ძეგლის პროექტი.

— **მისალმება.** მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისის პირველ საეროზო ყრილობისაგან მისასალმებელი დეპეშა მიიღო, სადაც ყრილობის თავმჯდომარე კალანდარაშვილი აღნიშნავს, რომ ერობა მზათ არის ყოველი ღონისძიება მიიღოს რესპუბლიკის განმტკიცებისა და აყვავებისათვისაო.

— **ყარაბაღის დაცლა.** სომხურ გაზეთების ცნობით, ოსმალებს სტამბოლიდან ბრძანება მოსვლიათ, რომ ყარაბაღი დასცალონ.

— **მკვლელობა.** 24 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე, ი. ბატონაშვილის სასადილოში შევიდა ვინმე მღებროვი და უმიზეზოთ გაისროლა რევოლვერი და გაიქცა. როდესაც მღებროვს იქვე მყოფი მილიციონერები დაედევნენ შესაპყრობად, მღებროვმა მათაც რევოლვერი ესროლა. მილიციონერებმა სროლითვე უპასუხეს და მღებროვი მოკლეს.

— **გაძარცვა.** 24 ოქტომბერს საღამოს 4 საათზე სასახლის ქუჩაზე ფლისის საოქრომჭედლო მაღაზიაში შევიდა სამი შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი, მაღაზიაში მყოფთ ხელ ფეხი შეუკრეს და წაიღეს მრავალი ძვირფასი ნივთები, რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

— **ტფილისის ქალთა საეპარქიო** გიმნაზიასთან არსებულ საინბანო განყოფილებაში სწავლა დაიწყო 25 ოქტომბერს. მოწაფეთა მიღება გრძელდება.

— **ახალი წიგნები** რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნი—ქ. კატო ბურჯანაძის ნათარგმნი: 1) მიეუეეს ბროშურა: მასწავლებელთა ორგან ზაცვა ინგლისში. 2) ევალდის საბავშო ჩ ლაპრები (ბუნების მეტყველებიდან) ორივე წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს თითო ორი მანეთი. თარგმანის ენა მსუბუქი და მარტივია.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, ერთობის რედაქციაში დანიშნულია გურიის დამხმარე კომიტეტის კრება.

— კვირას, 27 ოქტომბერს, 4 საათზე დანიშნულია ამ. კავ. ახალგ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

— 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ჟურ. „პირველი ნაბიჯის" თანამოაზრე მოწინავე მუშათა ჯგუფის ფართო კრება.

— კვირას, 27 ოქტომბერს, ნაშუადღევს 4 საათზე დანიშნულია საბურთალოს სახალხო თეატრის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც უნდა მოხდეს გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები. გასარჩევია აგრეთვე მეტად საჭირო კითხვები.

**პროვინციის ქრონიკა.**

**დიდი ჯიხაიში.** 22 ოქტომბერს ს. დიდ ჯიხაიშში მოულოდნელად გარდაიცვალა პარტიული ამხანაგი, მასწავლებელი ნიკოლოზ ივანეს ძე შუბლაძე. განსვენებული 1903 წლიდან მხურვალე მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა თვითმპყრობელობის მიერ დასჯილი. ს. დიდ ჯიხაიშის ს.-დ. კოლექტივი მოუწოდებს ამხანაგებს და პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა ამხანაგი დაკრძალვის პროცესიაში, რომელიც მოხდება 26 ოქტომბერს შაბათს ნაშუადღევს 3 საათზე.

# დაშნაკელების ორმაგი პოლიტიკა

ისტორიულმა ბედმა თუ უბედობამ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში სომხის ხალხი ხელში ჩაუგდო ისეთ ავანტიურისტ-შოვინისტურ პარტიას, როგორიც დაშნაკციუტუნია. ხსენებულ პარტიის ორმაგმა პოლიტიკამ და ავანტიურისტულმა მოქმედებამ, რამოდენიმე მილიონიანი სომხის ხალხი ფიზიკურათ გაანადგურა.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ამ ჟამათ დაშნაკელების პოლიტიკის წარმოების დაფასებას შეუდგე მათი შორეული წარსულიდან. იქიდან, როდესაც ამ ვაჟბატონების პოლიტიკის წყალობით, ოსმალეთის ყურდოები ასიათასობით ჟლეტდენ ოსმალეთში დასახლებულ სომხებს, განსაკუთრებით ამ მსოფლიო ომის დროს.

ამ მოკლე წერილში ჩვენ შევეხებით დაშნაკელების ახლო წარსულის მოღვაწეობას, რომლიდანაც საკმაო მასალა მოიპოვება მათი ორმაგი პოლიტიკის დასამტკიცებლად.

დავიწყოთ ამიერ-კავკასიის სეიმიდან. შესდგა თუ არა ხსენებული სეიმი, დაშნაკელები მისი ტრიბუნიდან საქვეყნოთ აცხადებდენ ამიერ-კავკასიის ერებთან სოლიდარობის აუცილებელ საჭიროებას და ბოლშევიზმთან დაუნდობელ ბრძოლას. ანხორციელებდნენ თუ არა სეიმის გარეთ ამ მოთხოვნილებებს? მივყვეთ ფაქტებს: იმ დროს, როდესაც სეიმში ამიერ კავკასიის ერების სოლიდარობაზე ლაპარაკობდენ, ერევნის გუბერნიაში დაშნაკელების შემწეობით სომხის ჯარმა რამოდენიმე ათეული სოფელი თათრებით დასახლებული ზარბაზნების ყუმბარებით გაანადგურა და ამოდენა მცხოვრები ღვთის ანაბარა ცის ქვეშ დაჰყარა. ასეთი ფაქტის შემდეგ განა შესაძლებელი იყო ერების სოლიდარობაზე ლაპარაკი? რა თქმა უნდა არა.

ავიღოთ მეორე განცხადება, დაშნაკელებისა ბოლშევიზმთან ბრძოლის შესახებ. რას აკეთებდენ დაშნაკელები ამ მხრით? ამ საქმეში მათ სრული პოლიტიკური ლაქიობა გამოიჩინეს. აქ ტფილისში, სადაც ბოლშევიზმმა ვერ მოიკიდა ფეხი შეგნებულ პროლეტარიატის წყალობით, ბოლშევიზმის წინააღმდეგნი იყვნენ, ხოლო ბაქოში ბოლშევიკებს მორჩილებით განუცხადეს და მათთან შეთანხმებით და მათი დახმარებით მოაწყვეს მარტის დღეების საზარელი ჟლეტა, სადაც 6 თუ 7 ათასი განსაკუთრებით თათრის დემოკრატია ამოხოცეს და მით ერთხელ კიდევ გაადრმავეს ის უფსკრული, რომელიც დაშნაკელებისა და მუსავატელების წყალობით არსებობს სომხის ერსა და თათრებს შორის. განა ამის შემდეგ საკვირველი იყო ბაქოს დაცემის დროს იქ გამეფებული ხოცვა-ჟლეტა, რომელიც თათრებმა სომხებზე მოახდინეს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საკვირველი არაფერი არ მომხდარა, რადგანაც ყველა ამაში თვით დაშნაკელები ბრძანდებიან დამნაშავენი და ჩვენ გვაკვირვებს, როდესაც დაშნაკელების ფრაქციას საქართველოს პარლამენტში თურმე შეკითხვის შეტანა განუზრახავს ბაქოს ჟლეტის შესახებ და მოითხოვენ საქართველოს პარლამენტმა პროტესტი გამოუცხადოს ბაქოს სომხების ჟლეტის გამო. ჩვენ გვაკვირს, როგორ ბედავენ დაშნაკელები თავისთავის გამათრახებას.

ეხლა გადავიდეთ დაშნაკელების პოლიტიკაზე ჩვენი მთავრობისა და რესპუბლიკის მიმართ. მკითხველებს ემახსოვრებათ საქართველოს პარლამენტში 1 ოქტომბრის სხდომაზე გამოქვეყნებული დეკლარაციის შინაარსი, რომელიც ბ-მა დავითხანიანმა წაიკითხა სომხის ყველა პარტიების და საქართველოში მცხოვრებ მთელი სომხობის სახელით.

ხსენებულ დეკლარაციაში მკითხველი სხვათაშორის შემდეგ სტრიქონებს შეხვდებოდა;

„ჩვენ, როცა შემოვდივართ აქ, დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში ყველა ერები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენ. ჩვენ აქ შემოვდივართ როგორც ერთერთი უმცირესობათ წარმოდგენილ ერის (სომხის) წარმომადგენელნი, მაგრამ მიზნათ არა ვისახავთ მარტო სომხის ერის საჭიროებებზე ზრუნვას და მის ინტერესების დაცვას, არამედ ჩვენი მიზანია თქვენთან ერთად შევებათ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მძიმე უღელში და თქვენთან ერთად ვასრულოთ მოვალეობა, როგორც საგარეო, ისე შინაურ საქმეებში".

როგორ შეასრულეს დაშნაკელებმა ეს ლამაზი დაპირებები ჩვენი რესპუბლიკისადმი? ამაზე პასუხის გაცემა ჩვენთვის არც ისე ძნელი იქნება. პირველი ნაწილი დეკლარაციისა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ყველა ერები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენო, ეს უკვე ფაქტია მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა; რაც შეეხება მეორე ნაწილს დეკლარაციისას, თუ რამდენათ შეასრულეს ეს სომხის წარმომადგენლებმა, ამას გვიჩვენებს ფაქტები. იმ დროს, როდესაც ბ. დავითხანიანი თავის დეკლარაციაში საქართველოს პარლამენტს ლამაზ და მჭერმეტყველურ დაპირებებს აძლევდა, დაშნაკელების „ორიზონმა" დასტამბა წერილი, რომელშიაც ის ავალებდა სომხის წარმომადგენლებს, დაუყონებლივ უნდა დაესვათ საქართველოს პარლამენტში სომხის ლტოლვილთა საკითხი და დასძენდა, რომ სანამ საქართველოს მთავრობა ჯეროვან დახმარებას არ გაუწევს ჩვენს ლტოლვილებს, მანამ სომხის საზოგადოებრივი აზრი ვერ დამშვიდდებაო. მკითხველმა თვით განსაჯოს დაშნაკელების დეკლარაციისა და „ორიზონში" მოთავსებულ წერილის შინაარსი, თუ რამდენად ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს. რაც შეეხება სომხის ლტოლვილთა საკითხს, ჩვენმა მთავრობამ მათ შეძლებისდაგვარათ აღმოუჩინა მატერიალური დახმარება და რამოდენიმე ასი ათასი სომეხ ლტოლვილის უზრუნველყოფას, რომლებმაც, მათი აწიოკების დროს, საქართველოს შამოაფარეს თავი და მათი სიცოცხლე უზრუნველყვეს, ჩვენი მთავრობა მათ სრულ უზრუნველყოფას ვერ იკისრებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ქართველი ლტოლვილები ასობით იღუპებოდენ დღეში ბაკურიანის უღრან ტყეებში უპატრონოდ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა დაშნაკელების ორმაგი პოლიტიკის დასაფასებლათ.

ამ დღეებში მათი პოლიტიკა იქამდის გათავხედდა ჩვენი რესპუბლიკისადმი, რომ სომხის ჯარი ... ჩვენი საზღვრები ... სომხის შეიარაღებული ძალა. საჭირო შეიქნა ჯავშნიან მატარებლის გაგზავნა და მატარებლის უფროსის ულტიმატუმის შემდეგ გავიდენ ჩვენი საზღვრებიდან.

მეორე ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა შანთაშევის შენობაში 21 ოქტომბერს, კიდევ უფრო აღმაშფოთებელია. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ შენობაში სომხეთის მთავრობას ჰქონებია საქონლის საწყობი, სადაც მრავლათ მოიპოვება თურმე როგორც ტყვიის მფრქვეველები, ისე ზარბაზნები, და ამავე შენობას დარაჯობენ სომხეთის რესპუბლიკის ჯარისკაცები. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ სამართლიანია, რომ სომხეთის მთავრობას ჩვენს დედა ქალაქში აქვს იარაღის საწყობი. ჩვენ ჯერ არც ის ვიცით თუ საიდან დაიჩემა სომხის მთავრობამ ჩვენს რესპუბლიკაში იარაღი. როგორც ვიცით, ხსენებული იარაღი მათ ყარსიდან და ალექსანდროპოლიდან არ შემოუტანიათ აქ მაშინ, როდესაც ამიერ კავკასია ერთ რესპუბლიკას წარმოადგენდა. აშკარაა ის ქალაქ ტფილისის საწყობების იარაღებია, ბატონ სომხების მიერ დაჩემებული, რასაც ახლო მომავალში აუცილებლათ ფარდა აეხდება. მაგრამ ჩვენ უფრო გვაინტერესებს მეორე საკითხი: თუ რამდენათ არ ეწინააღმდეგება ჩვენი მთავრობის მიერ ნებადაურთველათ ჩვენს ტერიტორიაზე სხვისი შეიარაღებული ძალის ყოლა ჩვენს სუვერენობას და დამოუკიდებლობას. როგორც ვიცით, სამხედრო სამინისტრომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებში გასცა განკარგულება, რომ სომხის შეიარაღებული ძალა საქართველოდან გასულიყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი დღესაც ჩვენ დედა ქალაქ ტფილისში ბრძანებულან და „მოვალეობასაც" კი ასრულებენ და მათ საწყობს დარაჯობენ. ამ ვაჟბატონების თავხ დობა იქამდისაც კი მივიდა, რომ მილიციის უფროსი საწყობებში არ შეუშვეს, სადაც ვილაც ჯარის-კაცი სიხარულიძე—კარაპეტიანცი ჩვენი ადმინისტრაციის დაუკითხავათ დაუსაფლებიათ და სარდაფში ჩაუმწყვდევიათ. საქმეში რომ არ ჩარეულიყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის თავი და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი, სისხლის ღვრა აუცილებელი იყო, რისთვისაც ტყვიისმფრქვეველებიც კი დასდგეს სომხის ჯარისკაცებმა. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოქმედება არის სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნა, რაც ერთ დღესაც არ არის დასაშვები ჩვენი მთავრობის მიერ.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა ამ ვაჟბატონებს ალაგმავს და მათ თავის ადგილს მიუჩენს, რისთვისაც უკვე გადადგმულია შესაფერი ნაბიჯი. ხოლო ჩვენი წერილის მიზანი იყო გამოგვეაშკარავებინა დაშნაკელების ორმაგი პოლიტიკა, იმ დაშნაკელების, რომლებიც დღეს სათავეში უდგას სომხის ხალხს და მის რესპუბლიკას. დაშნაკელების პოლიტიკა არის იგივე სომხეთის მთავრობის პოლიტიკა, რადგანაც მთელი მთავრობა დაშნაკელებისაგან შესდგება. ჩვენ დიდი სიფრთხილით უნდა ვადევნოთ თვალყური დაშნაკელების მოქმედებას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

**ხ. ელიაძე.**

# მიწათმოქმედების სამინისტროს საყურადღებოთ

ჩვენმა რედაქციამ მიიღო პირი იმ განმარტებისა, რომელიც მინისტრმა გამოუცია ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის სახელმძღვანელოთ ამ წლის ... ოქტომბერს, განმარტება ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხებზე: სახელდობრ—როგორის წესით უნდა იქნას გარჩეული დავა რომელიც ყოფილ მემამულეთა და გლეხებ შორის შეიძლება ატყდეს მიწით სარგებლობის საქმეში. ამ საყურადღებო განმარტებას ჩვენ ცალკე შევეხებით, როცა მის თარგმანს მოვათავსებთ, ახლა კი გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ მიწათმოქმედების სამინისტროს საყურადღებოთ. აღნიშნულ განმარტებას კანონის ძალა აქვს და კანონში კი მნიშვნელოვანი თითეული სიტყვა და სასვენი ნიშნებიც კი.

ამიტომ საჭიროა, რომ სამინისტრო, თუ ტექსტის ქართულათ შედგენა შეუძლებელია, ქართულათ გადათარგმნილ ტექსტს მაინც გვიგზავნიდეს და უხერხულ მდგომარეობიდან გამოგვიყვანდეს.

# საერთაშორისო მდგომარეობა

საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე გამწვავდა. ომი ჩვეულებრივზე უარესად მძვინვარებს, ადამიანებს შეუბრალებლად მუსრს ავლებს. ქვეყანა სისხლით კიდევ ვერ გაძღა. თავისივე ცეცხლით სწვავს თავის ქონებას.

საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენის აზრით უკიდურეს კრიზისს განიცდის.

როგორ გამოვა ის ამ კრიზისიდან!

განიკურნება, გაჯანმრთელდება, თუ დაშლექდება, დაავადმყოფდება!

ამის გამოცნობა დღეს ძნელია, შეუძლებელია... ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ აქ დიდი როლის თამაში შეუძლია თვით საერთაშორისო დემოკრატიას.

საერთაშორისო მილიტარიზმმა მიიყვანა ქვეყანა ამ უკიდურეს კრიზისამდე.

საერთაშორისო დემოკრატიამ უნდა იხსნას ქვეყანა ამ უკიდურესი კრიზისიდან. განსაკუთრებულ მდგომარეობაშია დღეს გერმანიის დემოკრატია. აქეთ არის დღეს მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილი.

მართლაც და გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ დღეებში უნდა მოხდეს გერმანიის რეიხსტაგის სოციალდემოკრატიულ ფრაქციის კრება და ამ კრებიდან ბევრ რამეს უნდა მოველოდეთ. ამ კრებას ისტორიული ხასიათი ექნებაო.

გასაკვირალი, დაუჯერებელი ამბების მოწამენი გავხდით და კიდევ გავხდებით. ომმა დაანგრია დიდი რუსეთი.

ომმა ბოლო მოუღო რუსეთის დესპოტიზმს. ომმა გაანთავისუფლა პატარა საქართველო... ომმა დასცა თვით გერმანიის რკინის კანცლერის მიერ შექმნილი წესწყობილება.

იქაც დემოკრატია ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო საქმეებს.

ჩვენ ბოლშევიკებივით ვერ ვიტყვით, რომ დასავლეთ ევროპაში სოციალური რევოლიუციისათვის უკვე ყოფილიყო მზათაო, მარა ეს ცხადია რომ იქ დემოკრატიამ გაიმარჯვა.

გერმანიის დემოკრატიის გამოლაშქრება, ფეხზე დადგომას, უფლებების მოპოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამას უსათუოდ მოყვება გამოღვიძება, გამოხმაურება სხვა ქვეყნების დემოკრატიისა.

ხსნაც ამაშია. საერთაშორისო დემოკრატიის გამოღვიძებას მხოლოდ შეუძლია ქვეყანას დღევანდელ კრიზისიდან გამოყვანა, გადარჩენა.

რა უნდა ვქნათ ჩვენ დღეს!

როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი დემოკრატია?

შეიძლება ჩვენმა დემოკრატიამ იფიქროს—ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ—ეხლა კი ვუცქიროთ რას იზამენ იქ, როგორ წავა საქმეო. თუ მართლა ასე ვინმე ფიქრობს ჩვენში, ის შემცდარია.

ნამდვილ დემოკრატს ასე აზროვნება არ შეჰფერის, არც შეუძლია.

საერთო საქმე ჯერ არ გათავებულა.

ჯერ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

საერთო ფერხულში ჩაბმა, საერთო საქმისათვის სარგებლობის მოტანა ახლა უფრო ადვილათ შეგვიძლია, ვინემ სხვა დროს შეგვეძლო.

დღეს ჩვენ უკვე თავისუფალ დემოკრატიას წარმოვადგენთ... დღეს ჩვენს ხმას ყურს უგდებენ, ანგარიშს გვიწევენ...

მართალია, შექმნილი გარემოებით სარგებლობენ ჩვენი მტერნი და გინდა თუ არ გინდა გვისაყვედურებენ გადადგმულ ნაბიჯებს დამოუკიდებლობისათვის, მარა ამან ჩვენ ოდნავათაც არ უნდა დაგვაფიქროს. ვერც ერთი ჭკუა მყოფელი ადამიანი ვერ უსაყვედურებს, ვერ დაგმობს იმ ნაბიჯებს, რაც ჩვენმა დემოკრატიამ გადადგა.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თუ ეს ნაბიჯები არა, ჩვენი მხარე, ჩვენი ხალხი ისე იქნებოდა განადგურებული, როგორც საბრალო სომხების ხალხია.

ამ გარემოებას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ. ამიტომ ჩვენ უნდა თამამათ გავწიოთ წინ იმ იმედით, რომ ჩვენ პირნათლათ ავასრულეთ ჩვენი მოვალეობა, როგორც ჩვენი ხალხის წინაშე, ისე საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე.

ხოლო დღეს, ამ საერთო უკიდურესი კრიზისის დროს, ჩვენ კიდევ მეტი ყურადღება, სიფხიზლე და შორსმჭვრეტელობა გვმართებს.

არც ერთი შორეული მიძმე დემოკრატიის გამოძახილი ჩვენ ყურადღებით არ უნდა დავსტოვოთ და მას ის თუ ისე ხმა უნდა გავცეთ, უნდა გამოვეხმაუროთ. რაც შეიძლება მეტი დაახლოება, მეტი კავშირი დასავლეთ ევროპის დემოკრატიასთან.

ამისათვის ჩვენ არც ფული და არც მუშაობა არ უნდა დავიშუროთ.

ამ დაახლოებაში, ამ კავშირში არის ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი ქვეყნის მომავლის იმედი.

კასაშვილი.

# საქართველოს დეპეშათა სააგენტო და გაზ. „შრომა“

საქართველოს დეპეშათა სააგენტოთი არ არის კმაყოფილი ესერების „შრომა“ და ამ გაზეთში მოკალათებული მწერლები.

ეს ხალხი საზოგადოთ ვერ ურიგდება ვერც ერთ დაწესებულებას, სადაც თითონ არ მეთაურობენ.

რაში სდებენ ბრალს სააგენტოს გამგეს ნ. კალანდაძეს, რას უწუნებენ მას?

პირველი ბრალდება ისაა, რომ სააგენტოს გამგე სოც.-დემოკრატია და საქართველოს პარლამენტის ანგარიშებს მიდგომით ადგენს: სოც. დემოკრატ დეპუტატების სიტყვები ვრცლად მოჰყავს, სხვების მოკლედ.

თუ ეს ასე გაგრძელდაო—სწერს „შრომა“, ადგილობრივი ზოგიერთი გაზეთები იძულებული იქნებიან საკუთარი სააგენტო მოაწყონო.

„შრომის“ წერილი ამ საგანზე უკომენტარიოდ გადაბეჭდა „საქართველომ“ და მაშასადამე, დაადასტურა ის. იგივე წერილი გადაბეჭდა „ზნამია ნაროდა“ მ და შემდეგ დაუმატა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობას მოეხსენება, თუ რა მდგომარეობაშია სააგენტო. ამ გარემოება, უნდა მიექცეს ყურადღება, რომ საქმე უფრო არ გართულდეს“.

ადვილი ასახსნელია, თუ რათ არიან ამხედრებული „შრომა“ — „საქართველო“—„ზნამია ნაროდა“ სააგენტოს წინაამდეგ, მაგრამ აგრე ადვილი გამოსაცნობი არ არის, თუ როდის დაარსებენ ზემოხსენებულ გაზეთთა ნაცარქექია მწერლები საკუთარ სააგენტოს, სად მოაწყობენ საკუთარ რადიო სადგურს და სხვა.

„ზნამია ნაროდა“ სწერს: მთავრობამ იცის სააგენტოს მდგომარეობაო. ალბათ, მთავრობამ ყველაფერი იცის, მხოლოდ თვით სააგენტომ არ იცის სად და როგორ იბეჭდება მის მიერ გამოცემული დეპეშები. მაგ., არც „შრომა“, არც „ზნამია ნაროდა“ არ იხსენიებს იმ სააგენტოს სახელს, რომლის დეპეშებს უხვათ ბეჭდავენ.

რატომ არ ინებებს მაგ., „შრომა“ იმის მოთავსებას გაზეთში, რომ მისი დეპეშები მიღებული არის „საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან“?

როცა „ზნამია ნაროდა“ იქცევა აგრე, ჩვენ გვესმის რაშიაც არის საქმე—მის სმენას, რა თქმა უნდა, არ დაატკბობს სიტყვა საქართველო.

„შრომას“ კი ჯერ-ჯერობით საკუთარი სააგენტო არ დაუარსებია და როცა სააგენტოს ფირმას არ იხსენიებს ამით, ალბათ, ცხოვრებაში ატ რებს სააგენტოს წინააღმდეგ ბოიკოტს!

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მოქმედებას ეწოდება ბოიკოტი კი არა, არამედ—უფრო სხვა სახელი.. თ.—

# ომი და ზავი

### ოსმალეთის გაზეთები ზავის შეხახებ.

ოსმალეთის გაზეთები (10 ოქტომბრის თარიღით) მსჯელობენ საზავო წინადადების შესახებ. გაზ. „ატი“ ვილსონის პუნქტებში ხედავს საუკეთესო გარანტიას ოტომანიის იმპერიის პოლიტიკურნაციონალური მთლიანობის დასაცავად. გაზ. „ქენიტუნი“ ამბობს, რომ ვილსონის პირობები იდეალურად უზრუნველჰყოფენ ზავს და სპობენ ყოველგვარ მიზეზებს ომის წარმოებისათვის.

### ბავარიის მეფის მანიფესტი.

გერმანიის საზავო წინადადების გამო ბავარიის მეფემ გამოსცა მანიფესტი ჯარისა და ხალხის მიმართ, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას სურს ზავი, რომ მოისპოს სისხლის ღვრა, ხალხისა და ჯარის ნებისყოფა უკიდურესი ბრძოლისათვის უნდა იყოს შეურყეველი, თუ ვინიცობაა ბრძოლა გვაიძულა მტერმა, რადგანაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული სამშობლოს მომავალიო.

### სად შეიკრიფება სამშვიდობო კონფერენცია?

„ბერლინერ ტაგებლატტი“ იტყობინება, რომ გაიხსნა არაჩვეულებრივი სხდომა ჰოლანდიის მინისტრთა პალატისა, სადაც მონაწილეობა მიიღო დედოფალმა ვილჰელმინამ. სხდომის საგანი იყო ჰოლანდიის სურვილი, რომ საზავო კონფერენცია გაიხსნას ჰააგაში.

### ტყვეების რაოდენობა.

ლონდონიდან სერ დუგლას ხეგი იტყობინება, რომ ყველა ფრონტებზე ივლისიდან მოყოლებული, რაც მოკავშირეთა სახელმწიფოების ჯარის შეტევა დაიწყო, მათ მიერ წაყვანილია ტყვედ: საფრანგეთში 254,012, პალესტინაში 71,500 კაცი და მაკედონიაში 22,000 კაცი. 347,612 კაცი.

### რად დამარცხდა ბულგარეთი?

ვენის გაზეთი „ნოიე ფრეიე პრესსე“ სწერს: ის კატასტროფა, რომელიც ბულგარეთის ჯარს თავს დაატყდა 23 სექტემბერს, შედეგი იყო ჯარისკაცთა ცუდათ საზრდოობისა და აგრეთვე იმისაც, რომ ჯარი ნახევრად ტიტველ შიშველი იყო მთელი თვეების განმავლობაში, ჯარიც იტანჯებოდა ათასგვარი ავათმყოფობით. იყო დივიზიები, რომლებიც რაც ომი დაიწყო, თხრილებს არ მოშორებოდენ.

ამას გარდა, შარშანდელი მოსავალი ბულგარეთში მეტათ ცუდი იყო და ხალხიც დაიმშა. შემოღებულ იქნა საბარათო სისტემა. თითო სულს დღეში 250 გრამმ პურს აძლევდენ (დაახლოვებით ¼ გირვანქაა). ყველა ამან მოჰქანცა ბულგარეთი, იმედი დაუკარგა მას და იგი დაეცა, როგორც საშინელი ომის მსხვერპლი.

# აზერბეიჯანი

### დერბენტის ფრონტი.

კავკასიის მუსულმანთა არმიის შტაბის ცნობა, 18 ოქტომბრის თარიღით: მტრის ჯავშნიანი მატარებელი შეეცადა წინ წამოსულიყო, მაგრამ ჩვენმა საარტილერიო სროლამ უკან დაახევინა. ფრონტზე საარტილერიო და თოფების სროლა გრძელდება. მტრის კავალერია რიცხვით 40-მდე კაცი შეეცადა ჩვენი მარცხენა ფრთის გარღვევას. ჩვენმა მზვერავებმა ისინი გაფანტეს. ნაწილობრივი საარტილერიო სროლა გრძელდება. ქალაქ დერბენტზე დილით მტრის აეროპლანი დაფრინავდა, რომელიც ჩქარა გაფრინდა თავის პოზიციისაკენ.

ყარაბახში სიწყნარეა, მთებში გახიზნული სომხები თავიანთ სოფლებში ბრუნდებიან. იარაღს მთავრობას აბარებენ.

### აზერბეიჯანის დელეგაცია სულთანთან

6 სექტემბერს აიასოფიაში აზერბეიჯანის დელეგაცია მიიღო სულთანმა. დელეგაციაში შედიოდნენ: რასულზადე მამედ-ემინ, ხალილბეგ ხას-მამედოვი, ასლანბეგ სეფიკურდსკი. აუდიენციას დაესწრო აგრეთვე სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა. მამედ-ემინმა მიულოცა სულთანს ახლათ დაარსებულ ნორჩ სახელმწიფოს სახელით, რომელმაც თავი დააღწია მძიმე უღელს, და სულთანის შემწეობით აყვავდება. სულთანმა აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ მისი მიზანია აყვაოს აზერბეიჯანი და ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას. ღმერთი ხელს შეუწყობს ოსმალეთს და აზერბეიჯანს, შეერთებული ძალღონით გაუმკლავდენ მტერსო. გამოთხოვებისას სულთანმა დაავალა დელეგაციას, რომ გადასცენ მათ თავიანთ სამშობლოს და ხალხს სულთანის სალამი.

როდესაც დელეგაცია ემშვიდობებოდა სულთანს, უკანასკნელი მიუბრუნდა ენვერს და განაცხადა, რომ ის ამ განცდილ წუთებს სთვლის ერთ ბედნიერ წუთთაგან ცხოვრებაში (აღ.).

# ახალი ავათმყოფობა

„კავ სლ.“-ში მოთავსებულია პროფ. შიროკოროგოვის წერილი ახალი ავადმყოფობის შესახებ, რაიც მოგვყავს სავსებით:

გადამდებმა ავათმყოფობამ, რომელიც ამ ჟამად მთელს ევროპას მოედო, ერთი თვეა, რაც თფილისში ნამდვილი გადამდები ავათმყოფობის ხასიათი მიიღო. ამ ავათმყოფობის შესახებ თფილისში სხვადასხვა ხმებია გავრცელებული: ერთნი ამბობენ, რომ ეს არის რაღაც ახალი ავათმყოფობა „ისპანკა“, მეორენი კი ვიღაც ექიმს დაურწმუნებია, რომ ეს ავათმყოფობა არის ფილტვების შავი ჭირი. ეს მაიძულებს მე გამოვარკვიო, თუ რაშია საქმე. ეს ძველი ავათმყოფობაა. ეს არის „ინფლუენცია“, რომელსაც დიდი ხანია კაცობრიობა იცნობს. ჩვეულებრივად ყოველგვარ უხასიათობას, ჯირკვლებში ტკივილს, ტემპერატურის აწევას, ჩვენში თვითონ ავადმყოფი უძახის „ინფლუენციას“.

მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ ეს ავათმყოფობა იღებს მასიურ ხასიათს, ედება მთელს ქვეყანას და შედეგათ მას სდევს დიდი რიცხვი სიკვდილით შემთხვევებისა.

ასეთი გადამდები ეპიდემიური ხასიათი მიიღო ამ ჟამად ინფლუენციამ. ალბათ, ბევრს ეხსომება ინფლუენციის გავრცელება 1889—1890 წ. მაშინაც ამ ავადმყოფობის შესახებ ბევრი ხმები გავრცელდა. ექიმებს არ ქონდათ ამ შემთხვევაში გამოცდილება, რადგანაც ამ ავადმყოფობის პირველად გაჩენის შემდეგ (1880 წ.) გავიდა 60 წ. ინფლუენციის ეპიდემია მე-16 საუკუნეში.

საუბედუროდ, ჩვენ ჯერ ჯერობით იძულებული ვართ ვსთქვათ იმ ფაქტის ახსნაზე, რომ ზოგიერთი გადამდები ავადმყოფობანი, რომლებსაც ეპიდემიური ხასიათი აქვს, დრო გამოშვებით ჩნდება, ხანდიხან სულ იკარგება რამდენიმე ათეული ანუ ასეული წლით, ანუ ჩნდება მსუბუქი ფორმით. რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ ევლინება კაცობრიობას მძიმე ფორმით და ისევ იკარგება რამოდენიმე ხნის შემდეგ.

ამ ჟამად ეს ავადმყოფობა ისევ ჩნდება: ავადმყოფობა იწყება უცბათ და მომეტებულ ნაწილად ციებით, ტემპერატურა აღწევს 39,5—40 გრად. ხანდის ხან პირიდანაც აღებინებს ავადმყოფს, შემდეგ ჩნდება სურდო, ყელში ტკივილს გრძნობს და ხველას აწყებინებს. ხშირად ასტკივდება ზურგი, ჩქარა სუსტდება და ლოგინათ წვება ხშირად მაგარი ჯანმრთელობის პატრონი კაციც.

შემდეგში ჩვეულებრივათ ვრცელდება ანთების პროცესი სასუნთქებით, იმიტომ, რომ ინფლუენციის დროს მას (პროცესს) აქვს მცოცავი ხასიათი. შემდეგ იწყება სასულესი და სასუნთქის ანთება. ამ დროს ავადმყოფს გაძლიერებულად აწვილებს და დაპალ ოფლს აძლევს, ჩნდება აგრეთვე ყურის ტკივილი.

ამ ავადმყოფობის ერთ ერთი მძიმე ნიშნობლივი თვისება არის ფილტვების ანთება. მომეტებულათ ფილტვების ანთებით კვდებიან ინფლუენციით ავათმყოფნი. ავათმყოფობა ემართება როგორც ბავშვებს ისე, მოზრდილებს, გრძელდება 3 დან 14 დღემდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავათმყოფობა ხანდისხან დაბუდებულია არა მარტო სასუნთქ ორგანოებში, არამედ —ნაწლევებში და კუჭში, მაშინ ჩვენ ვამბობთ ინფლუენცია ნაწლევებში და სხ. ავათმყოფობა მეტის-მეტი გადამდებია, ხშირათ მთელი ოჯახი ხდება ავათ, რომ გავიგოთ ეს ავათმყოფობა, უნდა გამოვარკვიოთ მისი გადამდები ხასიათი და საშუალებები. ინფლუენციას იწვევს პატარა მიკრობები, რომელსაც პატარა ჯოხის ფორმა აქვს, ეს ჯოხი როცა მოხვდება სასუნთქ ორგანოებში, იწვევს ანთების პროცესს. აქ ის სწრაფათ მრავლდება, ამ ინფლუენციის ჯოხით შემუშავებული შხამი სწამლავს მთელს ორგანიზმს, რომელიც გამოიხატება თავის და ჯირკვლების ტკივილში და ციებაში. ავათმყოფობის გადადება ხდება ავათმყოფთან პირდაპირ დაახლოვების დროს, მასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოფლს, რომელიც წვეთის სახით ეცემა მახლობელ საგნებზე ხველის და ლაპარაკის დროს. ოფლში მრავალი მიკრობია. თავის-თავათ ცხადია, რომ ავათმყოფთან ანუ მის გარშემო მდებარე საგნებთან მიკარების დროს ავათმყოფობა შეიძლება გადატანილ იქნას ხელით და აგრეთვე იმ ჭურჭლით, რომელსაც ავათმყოფი ხმარობდა, ადამიანის ორგანიზმის გარეშე ინფლუენციის ჯოხი ხმება და კარგავს გადამდებითი ხასიათს.

ზემოთქმულის ძალით ინფლუენციისაგან თავის დასახწევათ ვურჩევთ შემდეგ ზომებს: 1) არ უნდა მიხვიდეთ იმ სახლში, სადაც ინფლუენციით ავათმყოფია. 2) შეძლების-დაგვარათ ავათმყოფი განცალკევებული უნდა იქნას კარგათ მყოფისაგან. 3) იმ პირთ კი, რომელნიც ავათმყოფთ უვლიან, ვურჩევთ ფრთხილათ იყვნენ და ყოველივე ღონე იღონონ, რომ ოფლის წვეთები არ მოხვდეს სახეზე, ხელების და ლაპარაკის დროს. ამიტომ მომვლელმა შეძლების დაგვარათ ავათმყოფისაგან შორს უნდა დაიჭიროს თავი, ან და ხშირათ უყოს სახეს დეზინფექცია „ბორნაია კისლოტის“ წყალში სუსტი ნარევით, რომლიდანაც ადვილათ იხოცება ამ ინფლუენციის ჯოხები. 4) ავათმყოფთან მიკარების შემდეგ ხელები უნდა დაიბანოთ ისევ წყალში გახსნილ „ბორნაია კისლოტით“, საპნით და სხ. 5) ავათმყოფის მიერ სახმარი ჭურჭლები უნდა ჩაწყობილ იქნას ადუღებულ წყალში რამოდენიმე წუთით, 6) ავათმყოფმა უნდა აფურთხოს ისეთ ჭურჭელში, რომელშიაც უნდა იყოს სადეზინფექციო სითხე (კარბოლის სიმჟავე) და სხ.

შეუძლებელია ყველა გამაფრთხილებელ ზომების ჩამოთვლა, მაგრამ, როცა გვეცოდინება თუ სად არის გადამდები ავათმყოფობა, მივხვდებით თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ყველა კერძო შემთხვევებში. უბედურება იმაშია, რომ ჩვენ მეტის მეტათ მივეჩვიეთ ინფლუენციას, როგორც არა საშიშარს ავათმყოფობას.

როგორი გადამდებიც არ უნდა იყოს ავათმყოფობა, მისგან თავის დაცვა ყოველთვის შესაძლებელია.

# რუსეთის ცხოვრება

### „მატროსების რესპუბლიკა“.

ასტრახანში გამოცხადდა მატროსების რესპუბლიკა.

### ბურჟუაზიის მძევლები.

„წითელი გაზეთი“ იუწყება, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსდება საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც მოყვანილ იქნება ბურჟუაზიის მძევლები, ამასთანა ბანაკების დაარსების აზრი დიდი ხანია ტრიალებდა საბჭოთა მთავრობაში, რადგანაც მას ყოველ მხრივ შეთქმულობას უმართავდენ. ეხლა კი ბურჟუაზიიდან მძევლების წამოყვანით ამასთანა შეთქმულობანის შიში ნაკლებად იქნება. მძევლების საკონცენტრაციო ბანაკების მოსაწყობად გადადებულია 2 ნახ. მილიონი მანეთი. პირველი ბანაკი მოეწყობა ნიჟნი-ნოვგოროდში, იქ გაგზავნიან 5 ათასამდე მძევალს.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ კონტრრევოლიუციასთან და სპეკულიაც. მებრძოლ კომისიასთან დაარსდა „წითელი ტერორის“ განყოფილება. ხდება უამრავი ჩხრეკა ბურჟუაზიის ბანაკში. აგრეთვე გამალებული დევნიან მემარჯვენე ესერებს და სახალხო სოციალისტების პარტიის წევრებს.

### ველიკოროსიაში.

კიევში ჩამოსულები ამბობენ, თუ რა უკიდურეს და უნუგეშო მდგომარეობაშია ველიკოროსიაში საბჭოთა მთავრობა იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ ყოველმხრივ იერიშები მიაქვთ და იქ სამოქალაქო ომია გაჩაღებული.

ხმები იმის შესახებ თითქოს პეტროგრადში აჯანყება მომხდარიყოს, არაა სავსებით მართალი. ნამდვილად აჯანყება მოხდა პეტროგრადის განაპირა მიდამოებში, აჯანყებულებმა უმთავრესად რკინის გზის ლიანდაგები გაანადგურეს.

როგორც პეტროგრადსა, ისე მოსკოვში შედარებით სიწყნარეა, მაგრამ ტერორი დღითი-დღე ძლიერდება. ლატიშთა პოლკები და ჩინელები ჩეხოსლოვაკების ფრონტზე გაგზანეს, წესრიგის „სოვნარკომების“ დასაცავათ დაქირავებულია წითელი არმიელები. დაპატიმრება და დახვრეტა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ველიკოროსიიდან გამოქცევამ პანიკური ხასიათი მიიღო, მაგრამ ბალშევიკებისაგან გამოქცეულებსაც არ ეყრებათ ხეირი.

სასურსათო კითხვა უკიდურესობამდე გართულდა. ამავე დროს საბჭოთა მთავრობის მიმართ უკმაყოფილება დღითი დღე იხრდება. ზევიდან ტერორს მოჰყვა ტერორი ქვეიდან. ყველგან ხდება დაცემა და მკვლელობა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებისა ქალაქიდან ანარქია მთელ ველიკოროსიას მოედვა.

# შრომის ბირჟა

თფ. ქალაქის შრომის ბირჟის მოქმედება 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე შემდეგში გამოიხატა. უმუშევართა რეგისტრაცია მოუხდენიათ 7124 სულისა. მათ რიცხვში 4338 მამაკაცი და 2786 ქალი ყოფილა. უმუშევართა რიცხვი პროფესიებათ ასე იყოფა: პირველი ადგილი უჭირავთ სასტუმროების და ნომრების მოსამსახურეთ. (1582 სული) მეორე ინტელიგენტ მომუშავეთ (1461), მესამე—სახლში მოსამსახურეთ (1256 კ.), მეოთხე—შავ მუშებს (1118 სული), მეხუთე ადგილი უკავიათ ხელობის მცოდნე მუშებს (892 სული).

მოთხოვნილება მუშა ხელისა ასეთია: პირველი ადგილი უკავია მოსამსახურეებს (994 მოთხოვნილება 1031 კაცზე). ხელობის მცოდნე მუშების (156 მოთხოვნილება 609 კაცზე). უკანასკნელი ადგილი უკავიათ ინტელიგენტურ შრომის მაძიებელთ (4%).

უმუშევართა რიცხვი დიდია ინტელიგენტებში. შრომის ბირჟის ცნობებით მათი რიცხვი 4 ათას აღემატება. მომეტებული ნაწილი მათგანი სამსახურების ლიკვიდაციის გამო არიან დარჩენილი უსაქმოთ.

სად და როგორ მოაწყონ ისინი, ამ კითხვის გადაწყვეტა არ შეუძლიან არც ქალაქის ბირჟას და არც სხვა დაწესებულებას რაც შეეხება ადგილობრივ მცხოვრებელ ქალებს, ეს საქმე უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ინტელიგენტების.

არ იციან არავითარი ხელობა, არ სურთ მოსამსახურეთა ადგილები დაიკავონ, ეს ქალები ყოველ დღე დაიარებიან ბირჟაში, ელიან ადგილის მიღებას სადმე ქარხანაში. რასაკვირველია, ბირჟას არ შეუძლიან მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და ესენი აუწერელ გაჭირვებას განიცდიან.

მოთხოვნილება მოგვივიდა ადგილების 50 საზოგადო დაწესებულებიდან, სამხედრო უწყებიდან—101. კერძო დამქირავებელთაგან, ქარხნებიდან და სახელოსნოებიდან 1384. ზემო აღნიშნული ციფრები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ საზოგადო დაწესებულებანი არ სარგებლობდენ ბირჟით. იქ სამსახურში იღებდენ ძველი სისტემით—პროტექციით. უმუშევართა გამოკითხვიდან შემდეგი გამოირკვა, ერთ წლამდე თავიანთ ხელობაზე მუშაობდენ 601 სული ერთ ხუთ წლამდე ხელობაზე უმუშავნიათ 853 სულს, 5—15 წლამდე უმუშავნია 747. არ უმუშავნიათ თავიანთ ხელობაზე 486 უმუშევართა რიცხვი წლოვანებით ასე განსაზღვრება: 14—15 წლამდე 550 ს. (360 კ. და 190 ქალ.), 17—24 წლამდე 2 571 სული (1,444 კაცი და 1127 ქალი), 25—34 წლ. 2161 სული (1392 კაცი და 769 ქალ.), 35—44 წლ. 1102 ს. (713 კაცი და 389 ქალი), 45—49 წლ. 275 სული (172 კაცი და 103 ქალი), 50—59 წლ. 363 სული (190 კ. და 173 ქალი), 60 წ. და მეტი 92 ს. (67 კ. და 25 ქალი).

ოჯახური მდგომარეობა შემდეგია: მარტოხელა 2,981 კაცი და 1,444 ქალ. ცოლიანი 1,266 კაცი, ქმრიანი 805 დედაკაცი. ქვრივები: 111 მამაკაცი და 537 დედაკაცი უმუშევართა შვილების რაოდენობა: 1—2 ბავშვამდე 728 სული, 3—4 ბავშვამდე 353 სული 5 და მეტი 92 უშვილონი 686 სული.

ეროვნებათა მიხედვით ასეა განაწილებული უმუშევართა რიცხვი: რუსები—2710 სული (1507 კ. და 1203 ქ) ქართველები 2303 სული (1615 კ. და 688 ქ.) სომხები 1450 კაც. (801 კ, და 649 ქალი) პოლონელები 285 კ. (157 კ. და 128 ქ.) სართები 44 ქ. ებრაელები 130 სული (71 კ. და 59 ქ.) თათრები 49 კ. გერმანელები 68 სული (26 კ. 42 ქ.) ოსები 60 სული [illegible] ფინები 13 კაცი. ჩინელები 2 კაცი. [illegible] სორები 3 სული [illegible] ბი 7 სული. (5 კ. 2 ქ.)

წერა-კითხვის მცოდნე 2765 კაცი და 1780 ქ. არ მცოდნე 1633 კ. 1006 ქალი. ადგილობრივი მცხოვრებნი 1789 კ. და 1423 ქალ. სხვ. მხრიდან 2649 კაცი და 1363 ქ. პროფესიონალურ საბჭოთა წევრები 555 კ. და 304 ქალი.

ბევრი დაბრკოლებები გადაელობა წინ შრომის ბირჟას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბირჟას არავითარი დახმარება არ ჰქონდა არც პროფესიონალური საბჭოებიდან და არც თვით ქალაქის თვითმართველობიდან, მაშინ ცხადი იქნება ის სიძნელე მუშაობისა, რომელიც ბირჟას ჰქონდა დაკისრებული.

უნდა ვფიქროთ, რომ მისი არსებობა დაუმტკიცებს შრომის ბირჟას საჭიროებას მათ, ვინც უყურადღებოთ სტოვებდა და არ ცდილობდა მის აყვავებას.

# მკურნალობა-სანიტარიის საკითხები

ცხოვრება დღითი-დღე აუტანელი ხდება. ყველაფერი მამასისხლად ძვირდება. პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საგნების ფასები საათობით იზრდება. საერთოდ ხალხი და მომეტებულად მისი ღარიბი ნაწილი საყველაფრის სიძვირის გამო, უმწეო მდგომარეობაშია. სულ ჩქარა, არამც თუ ღარიბს, საშუალო ქონების ადამიანსაც კი აფთიაქში აღარ შეესვლება. დღევანდელამდე ყოფილ ფასებთან შედარებით წამალი და ყველა სააფთიაქო საქონელი ერთი-ორად და სამად გაძვირდება. ასეთია გაძვირების ისტორია. აფთიაქებში მოსამსახურეებმა აფთიაქების პატრონთ ჯამაგირების მომატების შესახებ მოთხოვნილებები წარუდგინეს. ზოგიერთი მოსამსახურის გადიდებული ჯამაგირი ასეთია:

| | თვეში | წელიწადში |
|---|---|---|
| პროვიზორს . . | 1272 მ. 50 კ. | 15,270 მ |
| პროვიზორის თანაშემწეს . . | 1207 „ | 14,484 „ |
| აფთიაქის მოწაფეს . . . | 1085 „ | 12,480 „ |
| რეცეპტორისტს | 926 „ 25 კ. | 11,115 „ |
| ლაბორატორიის მოსამსახურეს | 900 „ | 10,770 „ |
| მოსამსახურეს . | 842 „ 50 კ. | 10,233 „ |

გარდა ჯამაგირების მიმატებისა, აფთიაქებში ექვსი საათის სამუშაო დღე შემოიღეს. მოსამსახურეთ კვირაში ერთი დღე და წელიწადში ერთი თვე თავისუფალი ექნებათ დასასვენებლად. ზედმეტ ნამუშავარში მოსამსახურე ორჯელ მეტს, შედარებით ჯამაგირთან, ფასს მიიღებს.

აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა აფთიაქების პატრონთ წინადადება მისცა მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინათ, რაც უკვე შესრულებული იქნა.

თფილისის მეაფთიაქეთა კავშირმა შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნა მიართვა, რომლითაც კავშირი თხოულობდა წამლებზე და აფთიაქებში სააფთიაქო საქონელზე ნიხრი გადიდებულიყო, რადგანაც თვითოეული აფთიაქის შემოსავალი ნახევრათაც ვერ დააკმაყოფილებს გადიდებულ ხარჯებსო.

მეაფთიაქეთა კავშირის თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის საექიმო სასანიტარო განყოფილებას გადასცა. საკითხის გამოსარკვევად საექიმო სასანიტარო განყოფილებამ სპეციალისტთა კომისია მოიწვია.

კომისიამ საკითხი ყოველ მხრივ გაიცნო. დოკუმენტების საშუალებით მან შეისწავლა სხვადასხვა აფთიაქების შესავალ გასავლის საქმე, გაითვალისწინა წამლეულეულობის და სააფთიაქო საქონლის ბაზრის მდგომარეობა და დაადგინა გადიდებულ ხარჯების დასაფარავად, რომ აფთიაქებში მუშაობა არ შეჩერდეს და საზოგადოება უწამლოდ არ დარჩეს, წამლეულობის და სააფთიაქო საქონლის ნიხრი გაადიდოს.

ახლად შემუშავებული ნიხრით მყიდველისთვის წამალი და სააფთიაქო საქონელი გაძვირდება თითქმის (100 პროცენტიდან 150 პროცენტამდე) ერთი-ორად და ორნახევრად. წამალი და აფთიაქის საქონელი ისედაც ძვირი იყო. ზოგიერთი წამალი ომის დაწყების შემდეგ და ბოლოხანამდე 500 პროც.—700 პროც. გაძვირდა. ამის შემდეგ სიძვირის გამო საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აფთიაქის კარები მთლად დაიხურება. ბევრი არა-სასურველი შედეგი მოჰყვება წამლეულობის ასე გაძვირებას. გადამდები ავათმყოფობა და სხვა სენი ისედაც დაავადებულ დასუსტებულ და ახლა უწამლოდ დარჩენილ ხალხში, რასაკვირველია, უფრო ფართოდ გაიდგამს ფესვებს. მიზანშეწონილ წამლობას

და აფთიაქის წამალს ისედაც შეუჩვევარი ხალხი ამლა სულ გადაივიწყებს საავათმყოფოს, ექიმს და აფთიაქს. შელოცვა, მკითხავი და სოფლის მრჩეველი დაიჭერენ ჯეროვან ადგილს. ავადმყოფობის და სიკვდილის რიცხვი დღითი დღე გაიზრდება. ყველა ეს ხალხისა და რესპუბლიკის მომავლისთვის უშედეგოდ არ დარჩება.

ამიტომ ამ საზოგადო-სახელმწიფოებრივ საკითხს ეხლავე უნდა დიდი ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეხლავე გამოირკვეს, რა წამლეულობას და რა საავთიაქო საქონლის მომზადება შეიძლება რესპუბლიკაში საკუთარი ძალით და საშუალებით, რომ ეხლავე შეუდგეს საქმის თადარიგს, ვისაც ჯერარს.

რა საფთიაქო მცენარის და ბალახის მოყვანა და კულტურა შეიძლება ჩვენში, რომ მიწათა სამინისტრომ მეთაურობა გაუწიოს ამ საქმეს. საჭიროა ეხლავე მცოდნე, ღირსეული კაცი გაიგზავნოს საზღვარ-გარედ, რომ იქ საფთიაქო ბაზარს გაეცნოს და საფთიაქო ფირმებს და ქარხნებს რესპუბლიკის სახელით სავაჭრო პირობებით შეეკრას.

X.

## მუშათა შორის

**ქ. ლანჩხუთი.** თავისუფლების პირველ დღიდან ადგილობრივმა ნოქარ შეგირდებმა და მოსამსახურეებმა დაიარსეს პროფ. კავშირი, რომელიც შემდეგ გაფართოვდა, შემოიერთა მთელი რაიონის კოოპერატივების მოსამსახურენი, იღებდა მონაწილეობას სხვა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, ზრუნავდა თავის წევრთა კულტურულ და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ამ მხრივ დიდი სიყვარული დაიმსახურა თავის წევრთა შორის. კავშირმა ცოტა დროის განმავლობაში თავის არსებობისა გახსნა იაფ-ფასიანი სასადილო. კავშირს ბევრი უჩინარი მტერი ჰყავს. სასადილოს გამგეობის და პასუხის მგებელ გამგის ამხ. ზენაიშვილის ენერგიული მუშაობით დღეს სასადილოს რამოდენიმე ათასი მანეთი აქვს ფულად თუ ინვენტარით.

დიპლომელი.

## ს.-დემ. პარტიაში

**რკინის გზის სამმართველო.** 21 ოქტომბერს შესდგა სამმართველოს ს.-დ. პარტიულ წევრთა კოლექტივის კრება. პირველ საკითხათ გარჩეულ იქნა საერთო პარტიულ წევრთა კრების მოწვევა. გადაწყდა კრება მოწვეულ იქნას პროფ. კავშირის სექციის მოწყობის შემდეგ. მეორე საკითხი იყო საწევრო გადასახადების შესახებ. მოხსენებიდან სჩანს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრ პარტიის წევრებს, მეტადრე სარკინიგზო სტამბიდან, არ გადაუხდიათ. დადგენილ იქნა, მიენდოს ამხ. ს. ჩიქვაიძეს შეკრიბოს ცნობები, ვინ და რა მიზეზების გამო არ იხდიან დამატებითი გადასახადებს. ვისგანაც წარმოდგენილი მიზეზები საპატიო იქნება, მიიღონ მხედველობაში, ხოლო ვინც განზრახ არ იხდის, ისინი რამდენიმე გამაფრთხილებელი წინადადების შემდეგ, გამორიცხულ უნდა იქნენ პარტიიდან.

ადგილებიდან მოხსენებაში სჩანს, რომ ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობა იწვევს მუშა-მოსამსახურეთა შორის „იტალიურ" გაფიცვებს, რაც შემაფერხებელი ხაზინისთვის. ამ საკითხზე გადაწყდა, გაუკეთდეს მოხსენება ვისაც ჯერ არს, სხვათა შორის, პროფესიონალურ მთავარ კომიტეტს და ადმინისტრაციას, რომ გზის შემოსავალს, რომელიც ფერხდება ზოგიერთთა და ნამეტნავად ბილეთების ყურის მგდებლების დაუდევრობით, ყურადღება მიექცეს და შესაძლოა შემოსავალმაც მოიმატოს.

გარჩეულ იქნა აგრეთვე რკ. გზის მილიციის შტაბის ტელეგრამა სამმართველოს წითელგვარდიელთა მიცემული იარაღის დაბრუნების შესახებ. გადაწყდა მოეთხოვოს ყოფილ წითელგვარდიელთ საჩქაროდ დაუბრუნონ იარაღი შტაბს.

ამხ. ხუხუნაიშვილი აკეთებს მოხსენებას მოძრაობის ნაწილის საანგარიშო განყოფილების მაგიერ მოსამსახურეთა თავხედობაზე. მისი მოხსენებიდან სჩანს, რომ ბევრი მოსამსახურეები „საბოტაჟს" იწევიან, არავითარ კეთილსინდისიერებას ადგილი არ აქვს ზოგიერთ მოსამსახურეებში. მათი ყოფაქცევა დამამცირებელია დღევანდელი მთავრობისთვის და მასთანვე იმდენი ხალხი, რამდენიც იქ ეხლა მსახურებს, საჭირო არ არის. ამის გამო დაევალა ამხ. რუხაძეს და ხუხუნაიშვილს მოხსენება გაუკეთონ მთავარ კომიტეტს. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება მ. ფერაძის, რომელსაც დავალება ჰქონდა მოეწყო რკ. გზის საექიმო-სანიტარულ განყოფილებაში ს.-დ. ორგანიზაცია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ განყოფილებაში ინიციატორულ ჯგუფს შეუკრებიათ პარტიაში შემოსვლის მსურველთა ჯგუფი. გამოირკვა აგრეთვე, რომ მომხსენებელს მოუწყვია წინასწარი კრება, სადაც გაუცვნია პროგრამა და თანამედროვე ხანა და მიუთითებია პარტიულ წევრების ვალდებულებაზე. მიღებულ იქნა პარტიაში, მათი პიროვნების გარჩევის შემდეგ, ცხრა ამხანაგი და დაევალა მ. ფერაძეს განაგრძოს ამ ორგანიზაციის მოწყობა, და საჭიროებისამებრ მუშაობა.

დასასრულ კოლექტივმა დაადგინა მოუწოდოს ამხანაგებს, რომელთაც არ გადაუხდიათ დამატებითი პარტიული გადასახადი, ამ მოკლე ხანში გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წინადადება უკანასკნელი იქნება და კოლექტივი შემდეგ იმოქმედებს წესდებისამებრ. კოლექტივმა დაადგინა, გამოეცხადოს გაზეთის საშუალებით პირველი გაფრთხილება მე-3 მუხლის დარღვევისათვის დიმიტრი ალექსიძეს კოტე ბაბუციძეს, ვლადიმერ ბერძენს, პეტრე ჩიკვაიძეს და დავით ლევანიძეს. ამასთანავე მე 3 და მე-18 მუხლების ძალით პარტიიდან გარიცხულ იქნა ვ. მირუაშვილი.

საქარელი მ.

## პროვინცია

**ქ. ყვირილა.** 18 ოქტომბერს შესდგა ყვირილა შორაპნის გვარდიელთა კრება. მიზანი კრების იყო გვარდიელთა შტაბის დაარსება, მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით კრებას ხსნის ამხ. პავლე მეტრეველი, რომელიც მოხსენებას აკეთებს გვარდიის შტაბის დაარსების შესახებ.

დღიური წესრიგი იყო შემდეგი: შტაბის ხელმძღვანელის არჩევა, ხაზინადრის, იარაღის გამგის, ტანსაცმლების გამგის, სურსათის გამგის და შტაბის მდივნის არჩევა. შტაბის ხელმძღვანელად კრებამ დაასახელა ამხ. ერ. კალაძე, მის თანაშემწედ ამხ. მ. კვანტალიანი, რომლებიც ერთხმად იქნენ არჩეულნი. ხაზინადრათ არჩეულ იქნა ამხ. გ. შენგელია. იარაღის საწყობის გამგედ აბესაძე, ტანსაცმლების საწყობის გ. კლიარი, სურსათის მომწყობად ს. საყვარელიძე და ივ. სიხარულიძე. შტაბის მდივნად გ. ნებიერიძე. ახლად არჩეულ შტაბის ხელმძღვანელს და შტაბის წევრთ მისალმების სიტყვა უძღვნა პ. მეტრეველმა. ჩვენი პასუხი — უთხრა კრებას ახლად არჩეულმა შტაბის ხელმძღვანელმა კალაძემ — ჩვენი მწყობრი მუშაობა იქნება, რომელსაც საფუძვლად დაედება რესპუბლიკის სიყვარული და წარსული გამოცდილებანი. კრება დაიშალა, დარჩნენ დარბაზში მხოლოდ ახლად არჩეული შტაბის წევრნი, რომელთაც გამართეს მოლაპარაკება, თუ როგორ უნდა იმუშაონ და შემდეგში გამოთხოვონ მთავარ შტაბს სუბსიდია, ტანსაცმელი და სხვა საგნები შტაბისთვის აუცილებელი საჭირო.

ვერხვი.

---

**ხ. უშაფათი** (სამეგრელო) ერთ წელზე მეტია რაც ამ სოფელში არსებობს უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ი. გ. წერეთლის სახელობაზე. ადგილობრივი მცხოვრებნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამგეობის წევრები დიდ მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებას დააყენებდნენ სასურველ დონეზე და მით ხელს შეუწყობდნენ ხალხის განვითარება-გათვითცნობიერებას. მართლაც, პირველათ ჩინებულათ მიდიოდა საქმე. ეტყობოდა, რომ საქმეს სათავეში ედგა ენერგიული მუშაკი, მაგრამ სამსახურის გამო ის წავიდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ გამგეობა რომელმაც ჩაიბარა საქმე, ამისთანა დაწესებულებას და თანაც კარგ ნიადაგზე დაყენებულს, უპატრონებდა და ხელს შეუწყობდა. მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. რამდენადაც დრო გადიოდა, იმდენათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო თანდათან ჰკარგავდა თავის ნამდვილ სახეს. გაზეთები აღარ მოდიოდა თავის დროზე. გამგეობა ყურადღებას არ აქცევდა საქმის მიმდინარეობას, არ მართავდა სხდომებს და ამისთანა პირობებში ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ბიბლიოთეკარი — ქალი, რომელიც უსასყიდლოთ მსახურებდა ნახევარი წლის განმავლობაში, წავიდა, „ფოსტალიონმა" მიატოვა ჟურნალ გაზეთების მოტანა და ამ რიგათ ბიბლიოთეკა სამკითხველო ფაქტიურათ დაიკეტა.

საჭიროა გამგეობამ დაუყოვნებლივ მოიწვიოს საზოგადო კრება და ყოველივე ანგარიშები და საქმე ბიბლიოთეკა სამკითხველოსი დაწვრილებით ჩააბარონ მას და თუ ვერ მოხერხდა კრების მოწვევა, ყველაფერი უნდა ჩააბარდეს ადგილობრივ მცოდნე ამხანაგებს, რომლებმაც შეიძლება განაახლონ დანგრეული საქმე.

კ. მინაშვილი

## წერილები რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! „ერთობის" მე 214 ნომერში დაბეჭდილია სტატია — „ძველი მოხელეები", რომელიც არაკეთილ სამედოთ ჰპატავს ბონების მბეჭდავ ექსპედიციის ადმინისტრაციას და ცრუ და განზრახ შეთხზული „ფაქტებით" ლამობს დააჯეროს ამაში მკითხველი.

სიმართლის აღსადგენად გთხოვთ ალაგი მისცეთ ჩემს პასუხსაც. სტატიის ავტორი მოქ. „მიხაკო" სცდილობს ბოლოში მოჰბადოს ექსპედიციის მუშებს უადგილო გაფიცვისათვის და გაიძახის: ადმინისტრაცია სისტემატიურად დროზე არ უწორდებოდა მუშებს და იგინი იძულებულნი გახდნენ გაფიცულიყვნენო. უნდა მოვახსენო ბ. მიხაკოს, რომ მტკნარი სიცრუეა. პირიქით, არამც თუ აქამდის არა ყოფილა ჯამაგირების დაგვიანების ფაქტი — მუშებს ყოველთვის ავან სათაც მიაქვთ ხოლმე 30—40 პროცენტი თავის ჯამაგირისა. ამაში შეგიძლიათ თვით დარწმუნდეთ, ბ. მიხაკო, საბუღების ქაღალდების გადაშინჯვით. ის ინციდენტი, რომელიც ხელზე დაიხვია ბ. მიხაკომ, შესდგებოდა შემდეგში: თუმცა ექსპედიციის ადმინისტრაციისაგან დროზე იყო აღძრული შუამდგომლობა ფულების მიღებისათვის ერთი კვირით ადრე, სამინისტრომ ენკენისთვის ბოლო დღეს შესძლო მხოლოდ ორდერის მოცემა და ისიც ასე 2 საათზე, როცა კასა უკვე დაკეტილი იყო. ფულის მიღება შეიძლებოდა მხოლოდ მეორე დღეს დილით. მუშებს ექსპედიციის გამგემ უჩვენა ორდერი და სთხოვა, დაეცადათ დილამდის. მომუშავეთ ეს არ შეიწყნარეს და გაიფიცნენ. ამ მომუშავეთა რიცხვში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თვეში 120—130 თუმანსა ა მეტსაც ღებენ ხოლმე არავითარმა სიტყვა ერმა ჩაგონებამ გავლენა არ იქონია. მაგალითებიც მოვუყვანეთ, რომ ბევრს დაწესებულებაში ორი სამი თვით უგვიანებენ ჯამაგირს და ნუ თუ თქვენ არ ძალგიძთ დილამდის დაიცადოთ თქო. მომუშავენი მაინც არ დასთანხმდნენ. არ გასჭრა აგრეთვე ორდერის ჩვენებამაც — რომლითაც 20 000 მან. უნდა მიეღო გამგეს მუშების და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად. ამის შემდეგ მე ტელეფონით შევატყობინე შრომის მინისტრს და გადავეცი: 20,000 მან. ორდერი ხელში გვიჭირავს — ხვალ დილით მომუშავენი უსიკვდილოთ მიიღებენ ჯამაგირს — მაინც არ იცდიან და გაიფიცნენ მეთქი. ეს ჩემი ნალაპარაკევი ბ. მიხაკომ ტენდენციურად გადაასხვაფერა, ვითომ მინისტრსა ვსთხოვე მუშებისთვის 20,000 მან., როცა მათთვის (მიღებულ 5,000 მან. ავანსის გამორიცხვის შემდეგ) 8,000 მ. ეკუთვნოდათ. პირადად მე არც ფულის მიღებას და არც დარიგებას არ განვაგებ — ამისათვის არის ექსპედიციის გამგე ბ. ალაბაბოვი, რომელიც უსწორდება ავტონომიურ კომისიას. მინისტრთან ლაპარაკის დროს ჩემგან დასახელებული 20,000 მან. შეეხებოდა ორდერის რაოდენობის და როცა მინისტრმა მკითხა რამდენი იქნება საჭირო, რომ მუშებმა დაიწყონ მუშაობა — მე შევეკითხე მუშათა უფროს გამგეს მიხაილოვს და ალაბაბოვს, რომელთაც მითხრეს 10,000 მან სრულიად საკმარისი იქნებაო, რაიც ტელეფონითვე შევატყობინე ბ-ნ მინისტრს. მინისტრმა აღგვითქვა ამ ფულის დროებით სესხება და გამოგზავნა. ამის შემდეგ მე წაველ საფინანსო სამინისტროში (და არა სასადილოთ) ცნობის მისაცემათ, რომ მუშებმა უკვე დაიწყეს მუშაობა თქო. ექსპედიციაში კი დარჩა გამგე ბ. ალაბაბოვი, რომელიც, როგორც ზევითაც ვსთქვი, განაგებს ფულის მიღებას და ჯამაგირების დარიგებას მომუშავეთათვის. ჩემი იქ ყოფნა იმ დროს არავითარ მოსაზრებით საჭირო არ იყო და მხოლოდ ბ. მიხაკოს ფანტაზიის ნაყოფია ის აზრი, რომ ვითომ მე განზრახ თავი გავარიდე. არ გამოვეკიდები ბ. მიხაკოს ცილისწამებას, ვითომც მე მოწინააღმდეგე ვიყო საქართველოს დამოუკიდებლობისა. ეს იმდენად ცხადი სიცრუეა, რომ ამის შემთხზველი ღირსიც არ არის პასუხისა. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ მიხაკოები მაისს აქეთ გარდაიქცნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მობაირალტრებად, ჩვენ — მთელი ჩვენი სიცოცხლე, ამ დამოუკიდებლობის იდეით ვსულდგმულობდით და სწორედ სასაცილოა — სამწუხარო რომ არ იყოს, რომ მიხაკოები გვიკიჟინებენ დამოუკიდებლობის ორგულობას. რაც შეეხება „ძველ მოხელეობას", მე ოცი წელზე მეტი გავატარე საზოგადოებრივ და საერობო მოღვაწეობაში, მოხელეთ ჩემს დღეში არ ვყოფილვარ და წურას უკაცრავოდ ბ. მიხაკოსთან თუ თამამად ვიტყვი, რომ იმ დურგალთა არტელში, რომელსაც მე განვაგებდი უსასყიდლოთ, გამოიჭედა ხასიათი და განვითარდა ეხლანდელი შრომის მინისტრი და მაშინ ჯერეთ შეგირდი — გ. ერაძე — დემოკრატიის უტყუარი ბელადი, მიხაკოებს რომ გულში ულვივოდეთ ნამდვილი ცეცხლი დამოუკიდებლობისადმი, მაშინ ისინი მუშების თავგასულ მოთხოვნილებებს კი არ დაუკრავდნენ მარტო კვერს და არ წააქეზებდნენ უარესში — ისინი ეცდებოდნენ ცოტათი მაინც მოემატნათ მუშათა შრომის ნაყოფიერებასათვის, ურომლისოთ ჩვენი თავისუფლება უფსკრულისაკენ მიექანება.

ბონების მბეჭ. ექსპედ. კომისარი ინჟენერი გ. ქურდიანი.


## განცხადებანი

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

მე. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს სამედიცინო რჩევას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნებ'ზვი, სა ბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად — მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დოხნინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

მიხეილის ქირძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (ვაკე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელ. წიგნ. ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. ვ. ლევინშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჰაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი.
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯაკელიანი
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: [illegible]

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ძველი მთავრის ქ. № 57; ალექსანდრეს ბაღის ... სახ. [illegible] ტელ. № 5—77.

ექიმი დ. ი. ჟაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ექიმი
ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

დილის წარმოდგენა. **სახელმწიფო თეატრი** დილის წარმოდგენა.
კვირას, 27 ოქტომბერს, 1918 წ.
საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარლოტბარის
კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით პირველად თფილისში
გაიმართება
**ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის**
**სანიმუშო კონცერტი**
დამკვრელთა დასების ცალცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართველ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სამხედრო მუსიკის ხანიმუშო პიესებს. შესრულებული იქნება სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები: იამბიკოები, მუნასიპები, ქებადები, ხავრი და სხვანი. პროგრამაში შედის აგრეთვე ახლი გაორკესტრებით: ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, არმაზის ჰიმნი, „კერპთა დამხობის" ოპერიდან და სხვანი. დასასრულ დაიდგმება საუცხოვო აპოთეოზი — ცხოველი სურათის სახით ალმართება — თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.
დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

კვირას, 27 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში (მიხეილის ქ. № 91) შესდგება ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა
**საზოგადო კრება**
დღის წეს რიგი: 1) კოლექტივის მოქმედება, 2) კოლექტივის წევრთა ხელახალი არჩევნები, 3) თფილისის კომიტეტის წევრთა არჩევნები, 4) პარტიული ყრილობის დელეგატების არჩევნები.

**მეოთხე რაიონის კოლექტივი**
კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს. დ. მ. პარტიის წევრთა
**საზოგადო კრებას**
(ეს კრება გაგრძელებაა პირველ კრებისა)
განსახილველია: 1) მომავალ საოლქო ყრილობის დღის წეს რიგი,
2) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.
ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებელი.
ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.
კოლექტივის პრეზიდიუმი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
ნოე ჟორდანიას ახალი ბროშურა: **„სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია"**
ფასი ერთი მანეთი. გამოცემა საოლქო კომიტეტისა.
აგენტებს და გამყიდველებს, ვინც წაიღებს არა ნაკლებ 50 ცალისა, დაეთმობათ ოცი პროცენტის დაკლებით. ფული წინდაწინ უნდა იქნას გადახდილი. საწყობი „ერთობის" რედაქციაში.

გამოვიდა და იყიდება
**მოკლე თვითმასწავლებელი**
**გერმანული ენისა.**
ფასი ერთი მანეთი. გამოცემის საწყობი: საქართველოს მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქ. № 5. (3—3)

მე-4-ხე ბატარეის 2-რე ბრიგადისთვის
**საჭიროა მწერალი**
სავალდებულოა ცოდნა ქართული წერა-კითხვისა. ჯამაგირი 300 მანეთი თვეში. მისამართი: საბურთალოს ყაზარმები. (2—2)

მე-4-ხე ბატარეის 2 რე ბრიგადისათვის
**საჭიროა მკერავი**
პირობების გაგება შეიძლება საბურთალო, 4 ხე ბატარეის ყაზარმებში. (2—2)

მე 4 ხე ბატარეის 2-რე ბრიგადისათვის
**საჭიროა მჭედელი**
ჯამაგირი 250 მან. თვეში. მისამართი: საბურთალოს ყაზარმები. (2—2)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.